# ხობის მოამბე

„თვითშემეცნებულ ადამიანს ორგანული ნაკლია საკუთარ ყოფიერებაში. საცა ორნდა ვიყოთ, ერთი ყოველთვის ვიდგეთ... ყოველი სახელმწიფოა, რომელსაც ერსა ცოდვა თუ ბოროტად დაეძებოთ, ხარენდი-ხარენდად ანის ვიყოთ, ერთმან მოგვიდა და ანგრეოთ ადგილი იყოს.“

№6-7 (7089) 12 აგვისტო, შაბათი, 2017 წელი.

ფასი 1 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო


## „ცოტნეობა“ 12 აგვისტო „დიდგორობა“

12 აგვისტო–საეკლესიო სახალხო დღესასწაული ,,ცოტნეობა“, ცოტნე აღმსარებლის ხსენების დღე. ცოტნე დადიანი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIII საუკუნეში. მისი რწმენა, სიყვარული და თავდადება თითოეული ქართველისთვის გმირობისა და ერთგულების მაგალითია.

**დიდგორობა**–სახალხო დღესასწაული, რომელიც ტარდება 12 აგვისტოს, 1121 წელს მომხდარ დიდგორის ბრძოლაში ქართველთა გამარჯვების აღსანიშნავად.

## პრემიერ-მინისტრმა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული სამხედროების ხსოვნას პატივი მიაგო

**„8 აგვისტო არის საქართველოს უახლეს ისტორიაში უმძიმესი დღე. მინდა, ქედი მოვიხარო ყველა გმირის წინაშე, რომლებმაც სიცოცხლე არ დაინანეს საკუთარი სამშობლოსათვის. მთელს საქართველოს გულში უნთია მათი ხსოვნის სანთელი. რა თქმა უნდა, მშვიდობას არ აქვს ალტერნატივა და ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ პირველ რიგში მშვიდობა შევინარჩუნოთ. ერთიან, ეკონომიკურად ძლიერ, დემოკრატიულ, ნამდვილად ევროპულ საქართველოს ვაშენებთ იმისათვის, რომ ეს იყოს ერთიანი სახლი ქართველების, აფხაზებისა და ოსებისთვის. ეს ომი იყო ყველას ტრაგედია, ამიტომ, ჩვენ აუცილებლად თვალებში უნდა ჩავხედოთ ერთმანეთს, ვუთხრათ სათქმელი და უნდა შევრიგდეთ, რადგან შერიგებასაც ალტერნატივა არ აქვს. ჩვენ ერთიან საქართველოში ვიცხოვრებთ და აუცილებლად გავაერთიანებთ ქართველების, აფხაზებისა და ოსების გულებს. არც ქართველებს, არც აფხაზებს და არც ოსებს, დასაკარგავი შვილი აღარ გვყავს“**, –განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

## „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?!“

8 აგვისტოს, ხობის მუნიციპალიტეტში, აგვისტოს ომის დროს დაღუპული 9 ხობელი გმირის ხსოვნას პატივი მიაგეს და მემორიალი ყვავილებით შეამკეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.

„8 აგვისტო, თანამედროვე საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღეა. უთანასწორო ბრძოლას ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილები შეეწირნენ. ეს, დღე განსაკუთრებით მძიმეა ჩვენთვის, ხობელებისთვის, რადგან აგვისტოს ომმა ცხრა რჩეული ხობელი ვაუკაცის სიცოცხლე შეიწირა. კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახებს და ქედს ვიხრი სამშობლოს ერთიანობისათვის თავდადებული ხობელი გმირების წინაშე“–აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

მემორიალთან გოგა ბერაიას, მიხეილ იოსავას, ლევან ჭოჭუას, დათა ხურცილავას, გოგა ჭითანავას, ზვიად დათუაშვილის, ლევან ტურავას, გოგიტა ქარჩავას და რამაზ კიტიას სახელთა უკვდასაყოფად ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „აგვისტოს გმირები“ გაიმართა.

საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი ხობის წმინდა სამების სახელობის ეკლესიაში, მღვდელმა კირიონმა (დარასელია) გადაიხადა.

# 12 აგვისტო—„ცოტნეობა-2017

## მილოცვები

12 აგვისტოს საქართველოში „ცოტნეობა“ და „დიდგორობა“ აღინიშნება. ეს ორი მნიშვნელოვანი დღესასწაული თითოეული ქართველის თვითმყოფადობის, ღირსების და სიამაყის ნათელი მაგალითია. ამ დღეს კიდევ ერთხელ გვეძლევა შესაძლებლობა მომავალ თაობას გავაცნოთ ვაჟკაცი ქართველების როლი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. შევიცნოთ ერთა კონსოლიდაციის და სოლიდარობის უნარი.

წარსულის გმირებთან ერთად ჩვენ გვყავს დღევანდელი გმირები, აგვისტოს ომის მსხვერპლი ხობელი ბიჭები. ისტორია ინახავს თითოეულის სახელს. მომავალი თაობა არ ივიწყებს მათ ...

„ცოტნეობა“ გმირების დღეა. კიდევ ერთხელ პატივი მივაგოთ ჩვენი გმირების სულს, მოვიგონოთ ისინი და ვუსურვოთ ერთმანეთს მშვიდობა.

***ირაკლი (დაჩი) ბერაია,***
***საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარი დეპუტატი.***

ძვირფასო ხობელებო, გილოცავთ „ცოტნეობის“ საეკლესიო-სახალხო დღესასწაულს, ქვეყნისა და მოყვასისათვის თავდადებული მამულიშვილის ცოტნე დადიანის ხსენების დღეს.

ცოტნე დადიანი მოყვასისა და სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულის, ერთად დგომისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების სიმბოლოა. ცოტნე დადიანმა თავისი გმირობით წარუშლელი კვალი დაამჩნია საქართველოს ისტორიას. მის მაგალითზე თაობები იზრდებოდნენ და სულიერ დასაყრდენს პოულობდნენ საქართველოს ბედიღბალზე მოფიქრალი მამულიშვილნი.

ღრმად მწამს და მჯერა, ცოტნე დადიანის ქვეყნის შვილები შრომით, განათლებითა და ერთად დგომით შევქმნით საქართველოს ხვალინდელ დღეს.

***გოჩა ქაჯაია,***
***ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი.***

## მილოცვები

ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული, დასაბამიდან დღემდის, ეროვნული გადარჩენისთვის, საკუთარი ტერიტორიების დაცვისა და თვითდამკვიდრებისთვის, თავდაცვისა და თავისუფლებისთვის ბრძოლების მრავალსაუკუნოვანი ისტორიაა, რომელმაც მსოფლიო საკაცობრიო ისტორია უამრავი სამაგალითოდ გამორჩეული გმირებით დაამშვენა.

ქართველ სახელოვან გმირთაგან გამორჩეულია ცოტნე დადიანი, რომელმაც „ჰქმნა საქმე საკვირველი“ და „თავი დადო მოყვასისათვის“, ასეთი ზნეობრივი ხასიათის გმირობით, მან თვით მონღოლთა ყაენიც აღაფრთოვანა, რომელმაც ცოტნეს საქციელს „ყოველთა ქართველთა სათნოება კეთილი“ უწოდა და შეთქმულების ყველა მონაწილე გაანთავისუფლა. ისტორიის მკვლევარები ცოტნე დადიანის გმირობას უდიდეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვინაიდან მან თავისი გონიერებითა და სიმამაცით გადაარჩინა არა მარტო შეთქმულების მონაწილეები, არამედ „ყოველნი მთავარნი საქართველოსანი და ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი“, ანუ მთელი მმართველი და საზოგადოებრივი ელიტა სახელმწიფოსი, რომელსაც, რომ არა ცოტნეს გონიერი ქმედება, სიკვდილით დასჯა ელოდებოდა, რადგანაც სწორედ ესენი იყვნენ შეთქმულების მონაწილენი. როგორც ცნობილია, ეს პერიოდი საქართველოსთვის იყო უმეფობის ხანა და ქვეყანა უმძიმეს, თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდა. სწორედ ეს აწუხებდა კოხტასთავის შეთქმულების მონაწილეებს: „რა ვქნათ, არღარა არს ნათესავი ქართველთა მეფისა“, გაერთიანებული ძალით არ ვაწარმოებთ ბრძოლას და ერთმანეთისგან „განდგომილ ვართ, ამის წყალობით ვერ წინაღუდგებით თათართა“, ისინი ჩვენი დაქსაქსულობით სარგებლობენ და ბოროტად „გუაჭირვებენ ესეოდენ“. მოთათბირეებს დაუდგენიათ, რომ „მაინც არს ღონე, თუმც უმეფოდ ვართ, შევკრბეთ ყოველი და ვბრძოდეთ თათართაო“ და შეთანხმებულან მომზადებულიყვნენ საომრად. ისტორიის ამ ეპიზოდიდან ნათლად ჩანს კოხტასთავის შეთქმულების ყველა მონაწილის უდიდესი გმირობა ქვეყნის წინაშე, მათ უმეფობის დროს, მეთაურის გარეშე, მოახერხეს გაერთიანება და გადაარჩინეს სახელმწიფოებრიობა.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, უდაოდ გამორჩეული ადგილი უჭირავს ცოტნე დადიანს ქართველ გმირთა პანთეონში და ჩვენ, ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებას გვეამაყება, რომ ყოველ წელიწადს, 12 აგვისტოს, ტრადიციულად აღვნიშნავთ ცოტნე აღმსარებლის ხსენების დღეს. ეს დღესასწაული განსაკუთრებულია მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში, ვინაიდან ჩვენ ვმასპინძლობთ სრულიად საქართველოს, რათა ერთად ვადიდოთ და ვახსენოთ წმინდა ცოტნე აღმსარებელი, როგორც ზნეობრიობისა და მოყვასისადმი ერთგულების, ქვეყნის გაერთიანებისა და გადარჩენისთვის ბრძოლის სიმბოლო...

***ედიშერ ჯობავა,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.***

## გილოცავთ!

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის, მაღალყოვლადუსამღვდელოესი გრიგოლის დაბადების დღის აღსანიშნავად ხობის (ნოჯიხევის) ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში მღვდელმთავრებმა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა და ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა პეტრემ სამადლობელი პარაკლისი აღავლინეს.**

**მონასტრის სტუმრებს საშუალება ჰქონდათ ასევე დაეთვალიერებინათ ტაძრის მიმდებარედ არსებული ყოფილი „საკათალიკოსო სასახლის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები.**

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო ულოცავს მეუფე გრიგოლს დაბადების დღეს და უსურვებს მას ჯანმრთელობას და დიდი ხნის სიცოცხლეს.**

## ანყუჩისა და ივჭიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატები ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში

**6 აგვისტოს, ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, აწყურისა და ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატები დაებრძანეს. ხატების მობრძანებასთან დაკავშირებით დეკანოზმა ილიამ (ლომაია) საკვედრებელი პარაკლისი გადაიხადა. ხატები ტაძარში ერთი კვირის განმავლობაში იქნება დაბრძანებული და მრევლს შესაძლებლობა აქვს მოილოცოს სიწმინდეები და მონაწილეობა მიიღოს ღვთისმსახურებაში.**



თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი

დავით აღმაშენებლის საწინამძღვრო ჯვარი

# „ცოტნეობა“ და „დიდგორობა“— ერის ძლიერების სიმბოლო

ცოტნე, შერგილი და ნათელი–ხობის ტაძარში წარმოდგენილი რეპროდუქცია

8 აგვისტოს დაღუპულთა მემორიალი

საქართველოს ისტორია ქართული გენესიზის მატარებელია თავად, სიგელ-გუჯრებში, ეტრატებში, ფრესკულ გამოსახულებათა სიახლოვეს, საუნჯედქცეულ წიგნებში გაფანტულან სამშობლოს ჩვენის ჩვენამდე შემომნახველ რჩეულ ქართველთა სახელები, სახეები.

გმირთა ცხოვრება არაფრით გამოირჩევა თითქოს, მიჰყვებიან გასავლელ გზას, მაგრამ თავად გმირობისთვის მზადება მათ ირგვლივ ეწყობა დღე ნათლიდან დაბნელებამდე თავდადებითა და დიდი სიყვარულით გარემოცული.

გმირთა სიმრავლით სავსეს, ისტორიას ქართვლისას, გამორჩეულად შემორჩა ცოტნე დადიანის სახელი. სულ რაღაც რამდენიმე ფრაზით შემოესალტა მის სახელს „ქართლის ცხოვრება“, ჟამთა აღმწერლის კალამმა დავიწყების ბურუსს გამოსტაცა–„კაცი კეთილი და სრული საღმრთოთა და საკაცობოთა“. მტერთაგან მეგობრებს მიკუთვნებული წამების თანაზიარობით შეაძლებინა ეღიარებინა მომხდურთ–ღირსება თავგანწირვისა „ყოველთა ქართველთა შენ მოგანიჭებთ და შენდა მინდობილ ვართ“

ცოტნეს თავაგანწირვიდან სულ რაღაც საუკუნითა და ორი ათეული წლით ადრე „ძლევაი საკვირველ“ იდგა დიდგორს, დავით აღმაშენებელი გრგვინავდა და „ძლევაი საკვირველს“ უმზადებდა ისტორიას ქვეყნისას, ისტორიისთვის ერთი გაელვების–ერთი საუკუნის შემდგომ აღმაშენებლისეული სულით „ხსნაი საკვირველ“ იდგა ანისს და ტკივილით სავსე საქართველო ბადებდა გმირსა და საუკუნეთა შემდგომ წმინდანად შერაცხულ ცოტნე დადიანს.

ასე შემოგვინახა მემატიანემ ცოტნე დადიანის გმირობის სახება და როცა ვეძებთ მის ნაკვალევს, ვპოულობთ საქართველოს ყოველი კუთხის შვილად და გმირად.

ისე, როგორც ქართვლის მიწის ყოველი გოჯი–თავადაა ერის მძლავრობის ნაწილი. უწყვეტი ჯაჭვი მისი ერთობისა, ხობიც გამორჩეული სახებით დგას ამ ისტორიის წილად და ხვედრად. ცოტნე გაიგივებულია ხობის მონასტრის ეკვდერის სამხრეთ კედლის ფრესკაზე გამოსახულ ყრმასთან, რომელიც მამის შერგილ დადიანის, დედის ნათელისა და დის თამარის გვერდითაა გამოსახული, რასაც ადასტურებს წარწერა: „ერისთავთ ერისთავი შერგილ დადიანი, დიოფალთ დიოფალი ნათელ, ძე მათი ცოტნე, ასული ამათი თამარ.“

ერისთავთ-ერისთავი დადიანი შერგილ, ნათელი და ცოტნე მოხსენიებულია თამარის ჯვრისთვის დამზადებული ხატის წარწერაში.

მანდატურთუხუცესი ცოტნე დადიანი ცნობილია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში. ისტორიკოსები და ლიტერატორები ჯერ კიდევ დაობენ შოთა რუსთაველის შესაძლო დადიანობაზე, თუმცა, რაიცა არა სჩანს ცხადად, რთულია ამტკიცო მისი უეჭველი ჭეშმარიტება. ერთია მხოლოდ საქართველოს ძლიერება, როცა რჩეულ შვილს ყველა კუთხე თავისად იკუთვნებს, თავის გაზრდილად სახავს.

ასე სჩვევია ისტორიას ჩვენსას, ცრემლითა და ტკივილით, უდიდესი ნებისყოფითა და თმენით მიღწეულ გამარჯვებათა შემდეგ, ჯერ უგლოვია ქვეყნის ვარამი, ომებსა და ბრძოლებში დაკარგული სიცოცხლე, მაგრამ შემდგომ იარის მოსაშუშებლად დღესასწაულად უქცევია გმირთა ხსოვნისა და ხსენების დღეები. ცოტნე დადიანის წმინდანად შერაცხვამდე ორი ათეული წლის წინ ხობის მონასტრის ეზო გახდა პირველი „ცოტნეობის“ ადგილი იმ დროს, როცა ხობის მონასტრის სამრეკლოზე არც ზარები რეკდნენ, არც ლოცვა-კურთხევა აღევლინებოდა, ორი ათეული წლის შემდეგ კი უფლის ნებით რწმენით გაძლიერებულმა ერმა შესძლო წმინდანად შერაცხული ცოტნე დადიანის დღედ დაწესებულიყო 12 აგვისტო, ასე გადაეჯაჭვა ერთმანეთს დიდგორობა და ცოტნე აღმსარებლის ხსნების დღე საქართველოს ეკლესია- მონასტრებში , სახალხო დღესასწაული „ცოტნეობა“ ხობის მუნიციპალიტეტში.

21-ე საუკუნეა და ხობის მონასტერში, რომელიც დავით აღმაშენებლის საწინამძღვრო ჯვრით, თამარ მეფის გულსაკიდი ჯვრით–დადიანთა საგვარეულო აკლდამის სიახლოვეს ეკვდერთან გამოსახული ცოტნეს სახებით-ღვთისმშობლის კვართის ახლობით აძლიერებდა საქართველოს ხობიდან– ქრისტეშობიდან 2017 წლის 12 აგვისტოს აღევლინება ცოტნე აღმსარებლის ლოცვა, ამ დღეს აქ დაბრძანებული წმინდა აწყურისა და ივერიის ღვთისმშობლის ხატები–სულიერი ძლიერების ნიშნად დაულოცავენ სამშობლოს ერსა და ბერს, ხობელებს, რომელთაც შეძლეს ყოფილიყნენ ერის ღირსეული შვილები და ღირსებით გაიარეს ცოტნეს გზა, ამ გზაზე სანთლებივით ანთია აგვისტოს ომში სამშობლოს თავისუფლებას შეწირული ცხრა ხობელი გმირის სახელი.

„დიდგორობა“ და „ცოტნეობა“–ეს ის გზაა, რომელსაც ტაძრამდე მივყავართ და ამ დღეს ცოტნეს სახელით სავსე დღესასწაულით ისევ მერამდენედ მზაობს ხობი–ლოცვის, გალობის, სიმღერის, ლექსის ძალით ძლიერი ახალგაზრდობით, ბრძენი და მხნე ჭარმაგი ქართველებით, სტუმრებითა და მომლოდინე მასპინძლებით, საინტერესო ნამუშევრებით, უძველესი ლელობურთით, მომავალი თაობის სიმრავლით, პატარა ცოტნეებითა და თამარებით და გრძელდება ერის სასიცოცხლო გზა სამამულე და სადიდებელი.

საქართველოს დიდების დღეს გილოცავთ ხობიდან!

**_როზეტა შულაია,_**

***მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი.***

# ცოტნე დადიანი ზნეობრიობის შეურყვნელი ტაძარია...

*„ეროვნული ცხოვრების დრამაში, დროდადრო იკვეთება ხოლმე ეპიზოდები, რომლებიც შემდგომში თაობების ცნობიერებაში მისტიკის ანალოგიის სახით ჯრისტალდება. ვისაც საქართველოს ისტორიის სიღრმეები სიყვარულისთვის გაუდევნებია თვალი, ესეთი ეპიზოდები მრავლადაა!..“*

ამასწინათ, თბილისში, რუსთაველის თეატრში გამართულ მწერალთა კავშირის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, განვაცხადე და ახლაც მინდა ვაუწყო ჩვენს საზოგადოებას, დაახლოებით 10- 12

თუ ლიტერატურულ თავყრილობას არ გამაკარეს, ჩემთან ურთიერთობაც აკრძალული ჰქონდათ „მომავლისკენ მზირალ კალმოსნებს“. ისეთი ბარიერები აღმართეს ჩემს წინააღმდეგ, ხშირად ყოველივეს ცხადლივ აღქმა მიჭირდა და სიზმარში მეგონა თავი. მიუხედავად იმისა, რომ ამაზე ხმამაღლა აქამომდე არაფერი მითქვამს, ეს კი გახლდათ მაშინდელი მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ქალბატონ მაყვალა გონაშვილისა და აწგარდაცვლი ჩვენი სახელოვანი მწერლის ლადო მრელაშვილის დამსახურება. ამ უკანასკნელმა წმინდანები დამაფიცა და დასაბეჭდად გამზადებული ბოროტების პირუთვნელად მამხილებელი წერილი უჯრაში ჩამაკეტინა. ამაზე არც არაფერი დამცდენია, როგორც უკვე აღვნიშნე, მაგრამ არა არს დაფარული, რომელიც არა გაცხადდესო,–წმინდა წერილი გვასწავლის და „დადგა ჟამი ჭეშმარიტის გაცხადებისა“... თანაც ჩემთან ასეთი საუბრის შემდგომ, სულ რაღაც ორიოდე კვირაში, დაიბეჭდა მოთხრობა თამარ მეფისა და გიორგი რუსის პირველი ღამის თაობაზე, სადაც ნეოლიბერასტი ავტორი აქილიკებდა ჩვენს წმინდან დედოფალს და ეს გახლდათ ერთი ხაზი ყოველივე საღვთო და საწმინდოს მიწასთან გასწორებისა. ეს ბრძოლა დღემდე გრძელდება, უფრო გამძაფრებითა და თავზეხელაღებით და ვინ არიან ამ ბრძოლაში ჩართულები, ამას თვალნათლივ ხედავს ჩვენი საზოგადოება.

ცოტნე დადიანი ზნეობრივი გმირია, მაცხოვრის ჩვენის–იესო ქრისტეს „შუბის“ კაცი, თეთრი გიორგივით გველვეშაპისა და ეშმაკეულის მლახვრავი. უფლის წინააღმდეგ გალაშქვრა გახლდათ ლანძღვა-გინება თუ ათასრაობითი სიბინძურის მიკერება იმ გმირკაცის სახელზე, რომელიც ზნეობრივი გმირის ღვთაებრივი სამშვენისით შემორჩა ჩვენს ისტორიას!..

ღირსეული ცხოვრების საზრისი მხოლოდ და მხოლოდ ზნეობრივი სიწმინდიდან გამომდინარეობს, რაც ბიბლიურ სწავლებაზე მეტად, მრავალსაუკუნოვანი ხალხური სიბრძნიდან იღებს სათავეს. საუკუნეობრივმა გამოცდილებებმა საკუთარი სამშვინველის სიწრფელით გამოაწვრთეს ცოტნე დადიანის იდენტური ჭეშმარიტება და მასზე ეჭვის შეტანა ნიშნავს ჩვენი წარსულისა და მართალი სიტყვის უარყოფას!.. ცოტნესდარი ადამიანები, მთელი პლანეტის მასშტაბით, ახერხებენ ისტორიული მონაპოვრის სამოქმედო პროგრამად გარდაქმნას და ესაა სწორედ პანთეონური გენიალიზმის ცხოვრებაში გადმოტანა-განახლების საშური პროცესი!..

ლიტერატურული გენია ერისა გამოხატეს: რუთაველმა, ბარათაშვილმა, ილიამ, გალაკტიონმა, ვაჟამ, აკაკიმ, კონსტანტინე გამსახურდიამ, მაგრამ იგივე გენია ყოფისმიერი ჭეშმარიტებისა გამოხატეს: დავით აღმაშენებელმა, თამარ მეფემ, ცოტნე დადიანმა, ქეთევან წამებულმა, თევდორე მღვდელმა, მერაბ კოსტავამ, ჟიული შარტავამ, ზვიად გამსახურდიამ, სხვებმა და სხვებმა, ვისი გმირძალობის უდრეკ ხერხემალზეც დგას ჩვენი პატრიოტული და ზნეობრივი სულისკვეთება!

უკვე დარწმუნებით შეიძლება გავიმეორო, რომ ჩვენი საუკუნის იდეური და სულიერი კატასტროფა, რომელიც ათასი უზნეობითა და ბილწქმედებით გამოიხატება, წარსულში მომხდარი ნეგატიური პროცესების გამოძახილი გახლავთ. ჩვენ მრავალ უკანონობას მოვუხუჭეთ თვალი და ერი შევაჩვიეთ „ტყუილით აღტაცების“ ყალბ ფენომენალიზმს, რომელიც საფუძველი ხდება არასახარბიელო პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი კატაკლიზმებისა!..

დღითიდღე წინა პლანზე იწევს - სულიერი კულტურის სფეროში ადამიანის ღირსების მნიშვნელობა, შემოქმედებისა და ღვაწების, გონებისა და სინდისის ცნებებზე დამყარება და ეს გვაძლევს იმედს იმისას, რომ ცოტნეიდელობა აუცილებელი და სულის განმსპეტაკებელი „წოდება“ ხდება!..

„ჯერაც ვერ მოხერხდა დიდი ეროვნული წიგნის შექმნა, ისეთი წიგნისა, რომელიც მთელი სიღრმითა და სისავსით გადაგვიშლიდა უდიდესი ქართველი მოღვაწეების დიდ ცხოვრებას, მათ რთულსა და მრავალფეროვან ღვაწებას ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.“–ეს ჩემი და დარწმუნებული ვარ, მრავალი ჩემისთანა სამშობლოზე მოფიქრალი მამულიშვილის ოცნებაცაა!

როდესაც ერთიანი ეროვნული ენერგიის საფუძველი გახდება განათლება და კულტურა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იქმნება ტრადიციისა და სივრცის შესაბამისად მართვით, ჩვენს ზნეობრივ სიწმინდეს ვერაფერი დაემუქრება და ვერავინ, ვერასდროს დააყენებს დღის წესრიგში ცოტნე დადიანის დარი გმირების სამშობლოსადმი თავდადებას კითხვის ნიშნის ქვეშ!..

**ცოტნე დადიანი** სამშობლოსავით მაღალი გმირია!..

**ცოტნე დადიანი** ზნეობრიობის შეურყვნელი ტაძარია!..

***ლაშა გვასალია,***
***მწერალი.***

## ლაშა გვასალია
### ახალი ლექსები

### ოდოია, ოდო დინა...

გეძებდი და ვერსად გნახე,
ოდოია, ოდო დინა,
ცამ დაჯარგა უფლის სახე
და ეს მთვარემ ჩაიდინა.
ამოვიდა მეტად ადრე,
ჯერ დღე იყო უცოდველი,
ვერ გადმოსწვდა შუქის ფარდებს,
გადაჰხვია ღრუბელს ხელი...
თეთრ გორაზე მთვარის ხელა
ოჩოჯოჩი ზღაპარ- მითობს,
დალურჯულებს მისთვის ნელა,
ტყაშმაფას ჯი არ დაგითმობს.
მისი გრძელი თმების ჩრდილით
მზის არილი იბურება,
ჭინჯე მოდის გზაზე ფრთხილად,
ეშმაკივით იყურება...
ნანა ღმერთმა ციურ-ციად
ენგურს ტყბილხმით უძიძავა,
ლექსს აკვანი დაურწია ,
მასთან რჩება, არსად წავა...
დაგეძებ და ვერსად გნახე,
ოდოია, ოდო-დინა,
არ დამიგო ჟამის მახე,
ღორონთ რექ დო ვემემდინა!..

* * *

აფხაზური ბორიო საფლავებსაც
მოივლის,
იქნებ იმან წაიღოს ნანაიას მოკითხვა,
მოიძიოს არშბების, თარბების
თუ არგბების...
სააღდგომო კვერცხისფრად
ნასევდები საფლავნი.
ასევე მოვიკითხოთ- მეგრელ-ზანთა
საძვალე...
და ჯოლხური ხერხემლის
დაჩეჩქვილი მალები
იქნებ გავამრთელოთ და იქნებ ფეხზე
წამოდგეს
აფხიარცას ჰანგებით მოგალობე
დღეები...
აქ აბაყას სხივია სულით ცას რომ
ჰკიდია,
იმ სულივით ცახცახებს შენი „ნანა“,
თოლიგე,
ჩვენი ამ ტკივილებით, ჩვენი ამ
სიკვდილებით -
ისევ ჩვენმა მტრებმა და ბოროტებმა
მოიგეს!
რახანია „ვარადოს“ ჩასტყდომია
მრეკი ხმა
და ცრემლებით ღვივდება
სამლოცველოს ჯეჯილი,
თუ ღმერთი გწამთ გაიგეთ,
ანგელოზებს გაფიცებთ-
რომ ვერაფრით გავუძლებთ- ცალკე
მმუსრავ სტიქიებს...
ისევ ერთად უნდა ვთქვათ, ერთად
უნდა ვიგლოვოთ
ავბედითი დღეების ტრაგიკული
სისხლობა...
ჩვენი ღმერთი იქაა, ენგურს გაღმა
ლოცულობს,
და ის ღმერთი, თოლიგე, აფხაზია -
ჯოლხისთვის!
თქვენს ჰასუხს ჯი ცახცახით
ველოდებით, ჯიმაგე...
არ დაჩაგროთ ლოდინით-
მოლოდინის წამები!...
თქვენს ჰასუხს ჯი ცახცახით
ველოდებით, ჯიმაგე...
არ დაჩაგროთ ლოდინით-
მოლოდინის წამები!...

### დედა

ჯერ წვალობდი- ამომედგა ენა,
ლაპარაკი რომ მესწავლა ყმაწვილს,
მამაღლებდა შენი დიდი რწმენა -
მშობლიური სიყვარულით
აღვსილს...
როს გაზრდილი გზას მივიკვლევ
სევდით,
ვერ ჩვეული დუმილსა და თმენას,
ახლა უკვე მას მასწავლი, დედი,
ჯბილი როგორ დავაჭირო ენას!..

# ხობის მონასტერი და ცოტნე დადიანი

## მღვდელმონაზონ კალისტრატეს (ჩიჩუა) შემოქმედებაში

*მღვდელმონაზონ კალისტრატე (ჩიჩუა) დაიბადა 1837 წელს თავადის ოჯახში. წარჩინებით დაამთავრა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი. 1859 წელს ხობის მონასტერში მივიდა, სადაც 1861 წლის 26 დეკემბერს ხობის მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ბესარიონმა (ჩიჩუა) ბერად აღკვეცა. 1863 წელს ხობის მონასტრის ხაზინადრად დაინიშნა.*

*1865 წელს მისი ინიციატივით შეკეთდა მონასტრის სამრეკლო, ხოლო ქვალონის ეკლესიის გასარემონტებლად შეაგროვა 800 მანეთი. 1881 წელს მისი თაოსნობით ხობის ტაძარი ხელახლა გადაიხურა.*

*1885 წელს კალისტრატე ვარძიის მონასტრის წინამძღვარია. იყო განათლებული და ჩვენი ქვეყნის ისტორიის ღრმად მცოდნე პიროვნება. ის არის ავტორი პირველი წიგნისა, რომელშიც ხობის მონასტრის ისტორიაა ასახული.*

*გაზეთებში ქვეყნდებოდა მისი წერილები ხობის მონასტრისა და ცოტნე დადიანის შესახებ.*

*გთავაზობთ მის ორ წერილს გამოქვეყნებულს გაზეთში „ცნობის ფურცელი“*

**გოგიტა ჩიტაია**

ცოტნე დადიანის და მისის დედ-მამის კარგად შენახული ფრიად შესანიშნავი სურათი ჩვენ ვიპოვნეთ ხობის მონასტრის სამხრეთ კედელზე, სამხრეთში. ცოტნე დადიანი დიდად ცნობილია ჩვენს ისტორიაში. მის სახელს მემატიანენი ყოველგან დიდის პატივით იხსენებენ:

„დადიანი ცოტნე, კაცი წარჩინებული და სათნოებიანი“ (ქ.ცხ.I, 357);

„პატივოსანი და სათნოებიანი და ბრძოლათა შინა სახელოვანი”(ქ.ცხ.I, 364,371);

საფუძველი მხნეობისა და უძლეველობისა-წმინდა ზნე-ნამუსიანობა-და შეურყია თვით დედაბოძი ძლიერებისა-სარწმუნოება. ქართველნი იძლივნენ ერთმანეთის მტრობითა, შენ-ჩემობითა. ამას შემდეგ ქართველნი ერისთავნი თითო-თითოდ, თავისის ნებით, ერთმანეთის დაუკითხავად მიემხრნენ მონგოლებს და მათს მონობაში შევიდნენ. რუსუდან მეფე მონგოლების შემოსვლამდევე ქუთაისს გაიქცა და იქ განცხრებოდა თავის საყვარელ ორტულიშვილთან.

მეორეს არ ვემორჩილებით, ვმტრობთ და ამის გამო ღონე არა გვაქვს წინ აღვუდგეთ თათართა, ხოლო თათრები, ამის მიმხედველნი, მეტად გვაწუხებენ, ყოველს წელს წაგვასხამენ ხოლმე საბრძოლველად საქართველოს გარეშე და ამასობაში დიდს ჭირსა და ბოროტებას ვითმენდითო... ახლა შევვერთდეთ, შევკრბეთ და ვებრძოლნეთ თათართაო“. ყველანი დასთანხმდნენ; დააპირეს ომი თათრებთან და ადგილი დანიშნეს ქართლს, სადაც უნდა შეყრილიყვნენ იმერ-ამერნი.

## ცოტნე დადიანი და მისი ვინაობა (XIII საუკუნე)

„სათნოება-მაღალი და საკვირველი და ყოვლისა ქების ღირსი“ (ქ.ცხ. 375-376).

ცოტნე დადიანი პირველად სჩანს უბედურს დროს რუსუდანის მეფობისას. მან გადიხადა ფიცხელი ომი ჯალალ-ედდინ სულთნის აურაცხელს მხედრობასთან, სადაც იძლივნენ ქართველნი. შემდეგ ქართველობა ებრძოდა თემურ ლენგის მხედრობათა, მაგრამ ამაოდ: გარყვნილმა დრომ გიორგისა და რუსუდანისამ აჰყარა ქართველს მეომარს ის ჯაჭვ-ჩაჩქანი, რომელიც ყოველგან და ყოველთვის იყო ჭეშმარიტი

რუსუდანის სიკვდილს შემდეგ (1231 წ.) ცოტნე დადიანს და რაჭის ერისთავს მიანდვეს საბატონოდ „ყოველი იმერი სამეფო“, დროებით მოისპო მეფობა; მეფობის მაძიებელნი დავით გიორგის ძე და დავით რუსუდანის ძე სახვეწნელად წავიდნენ ყარაყორუმს (შუა აზია), სადაც იჯდა იმდროინდელი ქვეყნის მბრძანებელი, რომელსაც მტკიცედ ეჭირა მთელი აზია და რუსეთი, და იქ დიდხანს დარჩნენ.

მონგოლების ბატონობამ ძალიან შეაწუხა ქართველობა. მაშინ საქართველოს უფროსი კაცები, იმერ-ამერნი, შეიკრიბნენ „თავსა კოხტისასა“, ე. ი. კორტოხის თავზე. აქ იყვნენ ერისთავები: შანშე, ერგასალ, დადიანი ცოტნე, ვარამ გაგელი, ყვარყვარე, „კუპრო შოთაი”, რომელსაც ესე უწოდებდნენ სიშავისთვის, სარგის თმოგველი, კაცი განთქმული სიბრძნითა და ფრიად ცნობილი ჩვენს მწერლობაში, თორელი გამრეკელი და სხვებიც მრავალნი. აქ ყველანი ამას ამბობდნენ: ,,რა ვქნათ, მეფე არა გვყავს, რომ წინ გაგვიძღვეს, შეგვაერთოს და გვაბრძოლოს თათრებთან (მონგოლებთან). ჩვენ კი ერთი

მაშინ იმერი ერისთავნი, დადიანი ცოტნე, მისი ძმა ბედიანი და რაჭის ერისთავი წავიდნენ იმერეთის ჯარის შესაყრელ-შესაკაზმად. ამასობაში მონგოლებმა გაუგეს შეთქმულობა, უეცრად დაესხნენ კოხტას თავსა, სადაც ქართლ-კახ-მესხთა დიდ-კაცები ისევ გაუყრელნი იყვნენ და ჯერ ლაშქარი არ შეეყარათ; ყველანი დაიჭირეს და წაასხეს თავის მეფესთან, ქარმაღან-ნოინთან. მეფე გაურისხდა შეთქმულთა და ჰკითხა „რა მიზეზია თქვენის შეკრებისა, თუ არ განდგომა ჩვენგან?“ ხოლო ქართველთ მთავარნი არწმუნებდნენ: „არა განდგომად თქვენდა შევრკბით, არამედ რათა განვაგოთ საქმე თქვენი და ხარკი გაგიჩინოთ“. ეს თქმა არ დაუჯერეს, გააშიშვლეს ყველანი, მხრები შეუკრეს და ტიტვლები მზეზე დასხეს, ესრედ უწყალოდ წამებულთა ყოველ დღე ჰკითხავდნენ მონგოლები: გვითხარით თუ რა მიზეზით შეიკრიბენითო; თუ არ გვეტყვით, ყველას სიკვდილით დაგსჯითო. მაგრამ ქართველები სულ იმასვე უპასუხებდნენ: თქვენის ხარჯის გაწერისთვის შევიკრიბენითო”; ამბობდნენ ამას, მაგრამ არავინ-კი უჯერებდა. ამ წვალებაში იყვნენ ქართველნი, არც სიკვდილი აღირსეს და არც სიცოცხლე. სიცხეში ყოველ დღე მზეზე გაჰყავდათ ტიტველნი და ხელ-ფეხ შებოჭვილნი და ონავარ ბუზებს აჭმევინებდნენ.

6

# ხოპი კეთილი კვალი

წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე)

8 ივნისს, 2 საათზედ დაბა ზუგდიდიდან გზატკეცილის 4 ვერსის მანძილზე გვერდის გავლით მობრძანდა მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გურია-მენგრელიის ეპისკოპოსი ალექსანდრე ხოპის მონასტერში, მიუხედავად წვიმისა, მას დაუხვდა მრავალი ხალხი. ეკლესიის წესისამებრ მიღების შემდეგ, მათმა მეუფებამ კათედრიდან წაემოთქვა: „მოციქული და მახარობელი იოანე ღვთისმეტყველი მოძღვრებდა, რათა ჰყობდნენ მშვიდობას და სიყვარულს, მე აქ მშვიდობისათვის მოვედი, მე მსურს ჩვენში იყოს მშვიდობა, სიყვარული და ერთობა! თქვენ აქ გაბარიათ საქართველოს სასიქადულო სიწმინდეები, რომელიც არის: ღვთისმშობლის პერანგი, შესანიშნავი (სიდიდით) ძელი ჭეშმარიტი, წმ. ქალწულ-მოწამის მარინას და კვირიკეს მარჯვენა მკლავები და სხვა წმინდანთა ნაწილები, ძვირფასი ხატები და ჯვრები. ამეების სასოებით და შიშით უნდა შემოხვიდეთ დიდებულ ტაძარში;

მშვიდობა და სიყვარული სადაც იქნება, ღმერთიც იქ განისვენებს, რომელიც სულით გვაცხოვნებს და ხალხისგან დაიმსახურებთ სიყვარულს და პატივისცემას. ამას ვისურვებ თქვენგან, მე დღეს ვწირავ ჩემი ჯიბიდგან ათას მანეთს, რათა ამ თანხის სარგებლისგან აქ მსვენარე სიწმინდეების წინაშე მე მსურს მუდამ იყოს გაუქრობელი ლამპარი“.

ამ მიზნით მთელი წლის საყოფი ლამპრის ფასი იქვე წინამძღვარს გადასცა, ხოლო ასი თუმანი ამ თავით ხოპის მონასტრის სახელზე ამ საგანზე ჩემგან შეტანილიქნება თბილისის ბანკშიო...

ათასი მანეთის სარგებელი 5%-სამებრ იზამს 50 მანეთს წელიწადში ფუთი გინა ფუთნახევარი სრულიად საკმაოა. წმ. ზეთი ისყიდება 8-10 მანეთად, დანარჩენი 40 მანეთი ყოველწელიწადს მონასტერს შეემატება.

ამ სახით სასიქადულო მღვდელმთავარმა დასტოვა აქაც საუკუნო კეთილ სახსოვარი კვალი. ბევრ სხვა სიკეთესაც მოელის გურია-სამეგრელოს ეპარქია უხვი, მადლიანი მარჯვენისაგან თვისისა, რადგან ბრძანა: „ვიზრუნებ ამ ჩემი სამშობლო ქვეყნისათვისაო“. ხოლო ჩვენც ვისურვოთ მცხოვან მწყემსმთავრის ხანგრძლივი სიცოცხლე...

**კალისტრატე,**

**„ცნობის ფურცელი“, 1898 წ. 16 ივნისი, 559**

# ცოტნე დადიანი და მისი ვინაობა (XIII საუკუნე)

5

გაიარა მცირეოდენმა ხანმა. ცოტნე დადიანი შეყრილის ჯარით მივიდა დაპირებულს ადგილს ჯვარს რკინის(სამცხეშია) და მხოლოდ აქ გაიგო, რა უბედურება შემთხვეოდა ქართველთ თავ-კაცებს. მეტად შესწუხდა და „თვისად სიკვდილად შეჰრაცხა საქმე იგი“. თავისი ლაშქარი დაითხოვა და უკანვე გაგზავნა, ყველა თავ-თავის სახლში, ხოლო თვითონ მარტო ორი კაცით გაეშურა ანისში, სადაც იტანჯებოდნენ შეთქმულები. ცოტნემ, „დამდებმა სულისა თვისისა მეგობართა თვისათვის”, გაირა სამცხე, ჯავახეთი და მივიდა ანისს და ნახა, რომ მთავარნი ხელ-შეკრულ-ტიტველნი ისხდენ მოედანზე.

იხილა თუ არა ესრეთი დამდაბლება თვისთა ამხანაგთა, სიკვდილამდე მიწევნულთა, ცოტნე სწრაფად მიუახლოვდა ტანჯულთ, გადმოხტა ცხენიდან, გაიხადა ტანით და მიჰ ყარ-მოჰყარა თავისი მდიდრული ტანთ-საცმელი. ესრედ განშიშვლებულმა, მხრები შეიკრა და მდუმარე დაჯდა დანარჩენ ამხანაგებთან მწუხარე სახითა. ეს ამბავი მონგოლებს დიდად გაუკვირდათ და მაშინვე აცნობეს თვისს მეფეს, „ცოტნე დადიანი მოვიდა ორითა კაცითა და განიძარცვა სამოსელი და შეკრული დაჯდა ქართველთა თანა”. მონგოლების დიდკაცობა ცოტნეს კარგად იცნობდა და ამის გამო მეტად გაჰკვირდნენ ყველანი. მაშინვე მოუწოდეს ნოინთან და ჰკითხეს მიზეზი ამ უცხო საქციელისა. ცოტნემ უპასუხა: „ჩვენ ყველანი აქა მჯდომარენი იმისათვის შევიკრიბენით, რომ გაგიჩინოთ ხარჯი და თქვენი ბრძანება შევასრულოთ, მაგრამ თქვენ ბოროტობად ჩამოგვართვით; მეც ამისთვის მოველ, რომ გამოიკითხოთ ეს საქმე და, თუ სიკვდილის ღირსი რამე უქმნიათ, მეც ამათთან დავისაჯო სიკვდილით, რადგან მეც მათ შორის ვიყავი, ხოლო თუ უბრალონი აღმოჩნდნენ, გთხოვთ, მეც უბრალოდ მიცნათ და გავმართლდე თქვენს წინაშე, რადგან, ჩემდა დაუკითხავად, ამათ არა უქნიათ რაო“.

ეს რომ ცოტნესგან გაიგონეს ნოინებმა, დიდად გაუკვირდათ ესრეთი მისი მაღალი ზნეობა და სთქვეს: „რადგან ნათესავნი ქართველთანი ესეოდენ კეთილნი არიან და არა ეცრუებიან ერთი-ერთსა, რომე აფხაზეთით მოვიდა კაცი ესე დიდებული, დასდვას სული თვისი მოყვასთა თვისთათვის და განწირა სული თვისი სიკუდიდ, არა არს სიცრუე მათ შორის და ამის ძალით უბრალოდ ვპოვებთ: ამისთვის განვუტეოთ ყოველნი და ნუღარა ვსჯით“. მაშინ უთხრეს ცოტნეს, ჩვენ გვეგონაო, აჯანყებას გვიპირობდითო და ახლა რაკი ვნახეთ თქვენი ნამუსიანობა, შენთვის მოგვინიჭებია ეს ქართველები და შენ გენდობითო. ტყვენი გაანთავისუფლეს. თავი ქართველნი გადარჩნენ სიკვდილს და დამდაბლებას.

ზემოთხსენებულის მონასტრის კედელზე, სამხრეთ-დასავლეთის კუთხესთან, დახატულნი არიან სამნი: ერთი შუახნის კაცი, მოკლე წვერიანი, ჭრელს და მეტად უცხო ტანისამოსში, თავზე ჰხურავს მაღალი ქუდი, ფერადებით და თვალ-მარგალიტებით დამშვენებული. იმის მარჯვნივ დახატულია ლამაზი, ახალგაზრდა დედაკაცი, საუცხოვო ტანისამოსით, ხოლო ამ ორთა-

ცოტნე დადიანი და მისი ვინაობა (XIII საუკუნე)

შუა ჰხატია ყმაწვილი 8-10 წლისა, მდიდრულადვე ჩაცმული,

პირველს აწერია ასო მთავრულით: „ერისთავთ ერისთავი შერგილ დადიანი“, მეორეს: „დედოფალთ დედოფალი ნათელა“ და მესამეს: „ძე ამათი ცოტნე“.

ზემოხსენებული სურათნი მეტად საყურადღებო და ძვირფასი უნდა იყოს ყველასათვის, ვინც აფასებს წარსულს და გონივრულის თვალით უყურებს აწმყოს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ჩვენის ისტორიის მოღვაწეთა სურათებს და სხვათაც, რომელნიც მრავლად მოიპოვება საქართველოში, ჩვენი საზოგადოება არ დაჰკარგავს; ეს სურათნი ჯერ კიდევ სჩანან, მაგრამ შესაძლოა მალე გაჰქრნენ, როგორც ბევრი სხვა გაჰქრა სამუდამოდ ჩვენის დაუდევნელობით. ხობში დახატულია: ორი მეფე-დედოფალი უწარწეროდ, დადიანი გიორგი, დადიანი ლევან და შვილი მისი მანუჩარ; მარტვილში: დადიანი ლიპარტიანი გიორგი(XVII საუკ.) თანამეცხედრე მისი ლიპარტიანის ქალი ხვარანძე ისტორიისაგან უცნობი, ჭყონდიდელი ევდემოს, კაცია ჩიქოვანი (XVII საუკ.) ცოლი მისი მიქელაძის ასული სევდია, გ-ი ჩიქვანი, ოტია ჩიქვანი, ჩიქვანი კაცია და ცოლი მისი ალი, ჩიქვანი იესე; ბევრი სურათებია გელათში, ვარძიაში და სხვაგანაც, რამდენი შესანიშნავი სურათი წაიშალა მცხეთის, სამთავროს, ატენის, ბოლნისის, სამთავისის და სხვა ეკლესიის კედლებზე!

ჩვენმა ისტორიამ არ იცოდა ვინაობა ზემოთხსენებულ მოღვაწეთა. თუმცა შერგილ დადიანი მარტვილის წარწერაში ამოიკითხა ბროსემ, მაგრამ მისი ვინაობა ვერ განმარტა (rap VII, 47, 16), ხოლო მისი მეუღლის სახელიდამ შეცდომით აღმოუკითხავს მხოლოდ პირველი ასო „თ“ (ქრ) (add.lxp 646). ნათელა და შერგილ მოხსენებულნი არიან იმ ძვირფასს თამარ მეფის გულზე სატარებელ ხატის წარწერაში (ხობშივე), რომელშიც ჩასმულია თამარ მეფის ძვირფასი ჯვარი, თვალმარგალიტებით შემკული. ამ ხატზე სწერია: „ხატო არსებისაო, უცვალებელო მეოხ და მფარველ ექმენით აქა და საუკუნესა ერისთავთ ერისთავს დადიანს შერგილს და მეუღლით ჩემით დედოფალთ დედოფალი ნათელ(ა)-ხოლო თვით ჯვარზე აწერია ასომთავრულით ჯვარის სახედ: ძელო ჭეშმარიტო ძალო ჯუარისაო: შენითა წწ:ძღომითა „დ-ვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს.“

ე.ი. ძელო ჭეშმარიტო, ძალო ჯვარისაო, შენითა წინასწარძღომითა ყოვლადვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს.

საზოგადოდ დადიანების გვართა შტო ან დაკარგულია, ან მეტად არეული XIV საუკუნემდე. ჩვენ ვიპოვეთ რამდენიმე წარწერანი, რომელთაგან თითქმის დაჭეშმარიტებით აღსდგა უმთავრესი შტო დადიანებისა XII-XIII საუკ. აი ეს შტო: უდუ და ცოლი ლელა და მეორე ცოლი თეონილა 2) ძე ამათი: ა) ზვიად თეონილასაგან, რომელიც იყო კახაბერის ასული, თამარ მეფის დროს ბ) გიორგი 3) შერგილ(ძე ზვიადისი?) თამარ და გიორგი ლაშას დროს და ცოლი ნათელა 4) შერგილის ძენი: ა) ცოტნე ზემოხსენებული ბ) ბედიან დადიანი, მანდატურთუხუცესი და ცოლი მისი ხვაშაქი ქართლის ერისთავის ბეგაის ასული, დავით ნარინის დროს, გ) ვარდან დადიანი. 5) ბედია დადიანის ძენი: ა) რაშაჰრი; ბ) გიორგი I+1323 წ. და გ) ივანე. (ეს შტო დიდად განირჩევა ბროსეს მიერ საეჭვოდ შედგენილისაგან ( ისტ. გ. დდ. 646). ამათ შემდეგის დადიანების სია გამოკვლეული აქვს ბროსეს, თუმცაკი არა უნაკლოდ.

არა ერთჯერ თქმულა და ეხლაც ვიტყვით, რომ თუმცა ბროსემ დიდი და ფრიად სახელოვანი ღვაწლი დასდო ჩვენს ისტორიას, მაგრამ ჩვენი ეკლესიები, ხატ-გუჯარ-წიგნები და სხვა საარქეოლოგიო ნივთები ჯერ სრულიად აღწერილი არ არის, დღითი-დღე ბევრი რამ გვეკარგება, გვესპობა, ან რაც წასაკითხი დაგვრჩენია, ჯერ-ჯერობით რიგიანად წაკითხული და გარკვეული არა გვაქვს. ეს პირველად თვით განსვენებულმან დიმ. ზ. ბაქრაძემ გამოაცხადა და ვგონებთ, დრო არის ამ საგანს ჩვენმა ქვეყანამ და საზოგადოებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და არა მხოლოდ ლიტონის სიტყვით და ოხვრა-სულთქმითა...

**„ივერია“, 1891 წ. 21 ნოემბერი, 248 ფელეტონი.**

## ჩვენს მუნიციპალიტეტში

## საკათალიკოსო სასახლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

საქართველოს პარლამენტის წევრმა ირაკლი (დაჩი) ბერაიამ და ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ საკათალიკოსო სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ხობის მონასტრის (საკათალიკოსო სასახლის) სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 491 000 ლარს შეადგენს. პროექტის შესაბამისად განხორციელდება სასახლის სრული რეაბილიტაცია და მოეწობა მუზეუმი.

ხობის მონასტერი ძველ დადიანთა საძვალეა, ამავე დროს იგი შუა საუკუნეებში წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსების რეზიდენციას და საძვალეს. საკათალიკოსო სასახლე ბევრჯერ არის გადაკეთებული, რომელიც XX საუკუნის 20-30 იან წლებში დაინგრა, რის შემდეგაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოები არ განხორციელებულა.

## ზემო ქვალონში ეკლესიის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით ხორციელდება. საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი (დაჩი) ბერაია, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს წევრი თენგიზ აბაკელია ისტორიული ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნენ. „სოფლის სასაფლაოს ცენტრში დგას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის კედლები, რომელიც საკმაოდ დიდი ზომისაა, მისი სიგრძე 18, სიგანე 12 მეტრია, კედლის სისქე კი ერთ მეტრამდე აღწევს. ხალხი მას „ჩეოხვამესაც“ ეძახის, რაც თეთრ სალოცავს ნიშნავს. აქვს გამოშვერილი სამნავიანი საკურთხეველი, სამკვეთლოსა და სადიაკვნეში პატარა ნიშებია, ტაძარს აქვს სამი კარი და შვიდი სარკმელი, რომლებიც მართკუთხა აგურებით ლამაზადაა მოჩარჩოებული, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებს აქვს აგურებით გამოყვანილი სამ-სამი დეკორატიული თაღი და ნახევარსვეტი. ჭერი ოთხ სვეტს ეყრდნობოდა. აშენებულია მოზრდილი რიყისა და ფლეთილი კირქვებით, კირქვის კვადრები კი მხოლოდ კუთხეების ამოსაყვანადაა გამოყენებული 1923 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესია დახურა. ტაძარს კომკავშირლები საპატიმროდ იყენებდნენ, შემდეგ კი კლუბი გაუხსნიათ“ (გოგიტა ჩიტაია, ფოთისა და ხობის ეპარქია, ისტორიული ძეგლები, თბილისი 2007წ.).

*ივერიის ღვთისმშობლის ხატი „დედოფალი სიხარულის მომნიჭებელი“ ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდებული ხატია, რომელიც ძალიან ბევრი ადამიანის ნუგეშად და შემწედ იქცა. ხატის, რომლის გამოჩენაც საქართველოს პატრიარქმა ერისთვის სიხარულის მომტანად მიიჩნია, საკვირველმოქმედება და სასწაულმოქმედება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთის ბევრ ქვეყანაში გახდა ცნობილი. შარშან ოქტომბერში „დედოფლის ხატის მცველების“–ზურაბ შიოშვილისა და გიორგი ჭოლოკავას უდიდესი ღვაწლის, თავდაუზოგავი ბრძოლისა და შრომის შედეგად მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა აღსრულდა: იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ კლავდიოსის კურთხევით, „დედოფლის“ პირველი ულამაზესი ასლი ქართველთა უძველეს სავანეში, შოთა რუსთაველის ფრესკის პირდაპირ, სამუდამოდ დაბრძანდა და საუკუნეების შემდეგ დედა ღვთისას ნებით, არქიმანდრიტ კლავდიოსის კურთხევით, „ქართველთა მოსალოცი კუთხე“ შეიქმნა.*

*„დედოფლის“ ჯვრის მონასტერში დაბრძანებას ხილული სასწაული ახლდა თან „ღვთისმშობელმა დიდებით ინება ქართველთა სავანეში შებრძანება“.*

*27-28 მაისს „დედოფალი სიხარულის მომნიჭებელი“ გოდერძი ბუკიას მეოხებით ხობში ჩაბრძანდა, სადაც მას სასულიერო პირები და მომლოცველები დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და მოწიწებით დახვდნენ.*

*პირველი მაისის საეკლესიო კომპლექსსა და საპატრიარქო რეზიდენციაში, რომელიც ბატონმა გოდერძი ბუკიამ ააშენა, ორი დღის განმავლობაში მომლოცველების უწყვეტი ნაკადი მიდიოდა. ეს ულამაზესი საეკლესიო კომპლექსი და საპატრიარქო რეზიდენცია 4 წლის წინ, სწორედ, 28 მაისს ეკურთხა. ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიის საკურთხეველში კი, კიევ-პეჩორის ლავრიდან ჩამობრძანებული, 83 წმიდანის წმიდა ნაწილები დაბრძანდა, რომელიც, ტაძარს რუსეთისა და უკრაინის პატრიარქების შეთანხმებით, მუდმივ მფლობელობაში გადაეცა.*

*„დედოფლის“ ჩაბრძანებასთან დაკავშირებით, წმიდა ნაწილები საკურთხევლიდან გამობრძანდა და ხალხს ამ ორი უდიდესი სიწმიდის ერთად მოლოცვის საშუალება მიეცა“.*

# ხატი „დედოფალი სიხარულის მომნიჭებელი“ ხობს სტუმრობდა

**გოდერძი ბუკია:**–28 მაისს იყო საეკლესიო კომპლექსისა და საპატრიარქო რეზიდენციის 4 წლის იუბილე, სწორედ ამ დღესთან დაკავშირებით ჩამობრანდა ხატი „დედოფალი“ სიხარულის მომნიჭებელი“, რაც კიდევ ერთი დიდი სიხარულია მთელი ხობისა და ჩვენი კუთხისთვის.“

**ირაკლი (დაჩი) ბერაია:** ამ ხატის ჩამობრძანება ძალიან დიდი მადლია არა მხოლოდ ამ სოფლის მოსახლეობისთვის, არამედ მთლიანად ხობის მუნიციპალიტეტისთვის. ღვთისმშობლის ძალამ და მადლმა გააძლიეროს და გააერთიანოს სრულიად საქართველო.

***ხობიდან გამომგზავრების შემდეგ „დედოფალი“ ნოჯიხევში, ხობის ღვთისმშობლის მიძინების დედათა მონასტერში მიბრძანდა ისე, რომ ეს არც კი ყოფილა დაგეგმილი. „ჩვენი დედა მობრძანდა„ –გულმხურვალედ, გალობით დახვდნენ ღვთისმშობლის ხატს მონასტერში, რომლის ისტორია უნიკალურია ისევე, როგორც არქიტექტურა და ფრესკები.“***

**მამა ილია–(ლომაია) ხობის ღვთისმშობლის მიძინების მონასტრის წინამძღვარი):**–საეკლესიო გადმოცემის თანახმად, ხობის მონასტერში–ღვთისმშობლის კვართის მობრძანების აღსანიშნავად, საზეიმო წირვა-ლოცვა გადაუხდიათ, რომლის შემდეგაც დაუპირებიათ კვართის შენახვა, მაგრამ სასწაული მომხდარა: კვართი არ დაკეცილა. ორი კვირის განმავლობაში ტარდებოდა ლოცვები, პარაკლისები და მხოლოდ ორი კვირის თავზე ინება კვართმა მონასტერში შებრძანება. სწორედ ამის შემდეგ დაწესდა 28 აგვისტოს, ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე კვართის გამობრძანება. 15 ივლისს, „ვლაქერნობას“ კვართის გამობრძანება უფრო ბერძნული ტრადიცია. ჩვენ უკვე მივმართეთ უწმიდესს, წმიდა სინოდს, რომ 28 აგვისტოს აღდგეს ღვთისმშობლის კვართის გამობრძანების დღესასწული, იმედი მაქვს, აღდგება და ჩვენ ყველანი ერთად ვიზეიმებთ ამ უდიდეს დღესასწაულს.

დღეს ჩვენი მონასტრის სულიერი განძი ორ ნაწილად არის გაყოფილი: იმას, რასაც მატერიალური ფასეულობა გააჩნია. ოქროს ფონდშია, ხოლო, რასაც სულიერი ფასეულობა აქვს–ზუგდიდის მუზეუმში. ჩვენ ველოდებით, როდესაც ჩვენი წინაპრების მსგავსად, სიწმიდის რაღაც ხარისხს მივაღწევთ, ღვთისმშობელი მობრძანდება და სიწმიდეებს დაუბრუნებს მონასტერს. ახლაც ხომ „დედოფლის“ მოსალოცად ჩავბრძანდით საეკლესიო კომპლექსში, შემდეგ მან თავად ინება ჩვენს მონასტერში მობრძანება. დაე, ასე ინებოს დედა ღვთისამ, მისი კვართი დაუბრუნდეს მონასტერს...

**გიორგი ჭოლოკავა (ხატ „დედოფლის“ მცველი):**–ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ის ხატი გახლავთ, რომელიც მუდამ თავად ირჩევს, სად წაბრძანდეს ან სად დაბრძანდეს. თავად ხატის ისტორიაც ამას მოწმობს. ასეა „დედოფალი სიხარულის მომნიჭებელიც“–ჩვენ მის ნებას აღვასრულებთ მუდამ. წინასწარ არასოდეს ვიცით, სად აღმოვჩნდებით, არ ვიცით, ვის ნუგეშისცემას გადაწყვეტს და სად მიბრძანდება. თუმცა, ხატის მცველებმა თავიდანვე ვისწავლეთ ხატის ნებასურვილის გაგებაცა და გაყოლაც, ასე იყო ნოჯიხევში, ღვთისმშობლის მიძინების მონასტერშიც, როდესაც ხობიდან თბილისში წამოსვლის წინ „დედოფალმა“ ინება ამ დიდებულ მონასტერში მიბრძანება. არც თუ ისე დიდ დროში უდიდესი სასწაულები აღავლინა ხატმა. თუმცა, განსაკუთრებული მაინც ის არის, რომ უბრალო, ნაბეჭდ ასლებზეც კი „დედოფალს“ ხელები უთბება. მსგავსი მოვლენა ქრისტიანობას თავისი ისტორიის განმავლობაში არ ახსოვს, რაც იმის მანიშნებელია, რომ ბოლო ჟამს, როგორც არის ნაწინასწარმეტყველები–უდიდესი ცხოველმყოფელობა შეიგრძნობა ღვთისმშობლისა.

**ზურაბ შიოშვილი (ხატ „დედოფლის“ მცველი):**–„დედოფლის“ ფეისბუქგვერდზე ხშირად მოგვდის წერილები, „დედოფლის“ წყალობის შესახებ, გვწერენ. ერთ-ერთი წერილის შინაარსი ასეთია: „ყოველთვის თვალს ვადევნებ თქვენს გვერდს და სიხარულით მავსებს „დედოფლის“ მადლი, დღეს „დედოფლის“ მადლი და წყალობა საკუთარი ოჯახის ირგვლივ ვიხილე. ჩემს უახლოეს ადამიანს ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს–მესამე სტადია. სულ ვფიქრობდი და „დედოფალს“ ვთხოვდი, მისცემოდა მისი მოლოცვის საშუალება, რომ მიახლებოდა მას. ზუსტად განმეორებითი გამოკვლევის წინ გავიგე, რომ მოილოცა „დედოფალი“. ცოტა ხანში თურქეთიდან მოვიდა გამოკვლევის პასუხები. სიმსივნის ერთი უჯრედიც აღარ არსებობს, მადლობა თქვენ და ღვთისმშობელს ამ სასწაულისთვის“.

ადამიანები დიდი ხანია, უცხოეთიდანაც ჩამოდიან ხატის მოსალოცად, ზოგი–მეორედ და მესამედაც. როდესაც „დედოფალი“ კვირიკესა და ივლიტას ტაძარში იყო გამობრძანებული, ჩემთან მოვიდა ქალბატონი, რომელიც როგორც გაირკვა, უკვე მეორედ ჩამოფრინდა ხატის მოსალოცად, თუმცა, ახლა მადლობის სათქმელად. ქალბატონს თავში ავთვისებიანი წანაზარდი ჰქონდა, რაზეც ექიმები საიმედოს არაფერს ეუბნებოდნენ. „მე ყოველთვის განსაკუთრებულად მიყვარდა ღვთისმშობელი და როცა ეს დიაგნოზი მოვისმინე, ვიფიქრე, მთავარი მაინც უფლისა და ღვთისმშობლის სიყვარულია, პატარა აღარ ვარ და ალბათ, უნდა მივიღო ეს ყველაფერი როგორც არის“,–გვითხრა ქალბატონმა. მას მალევე შეუტყვია „დედოფლის“ შესახებ და როდესაც მომლოცველთა ჯგუფი საქართველოში მოფრინავდა, ისიც გამოჰყვა. ეს იყო ერთი წლის წინ. „მაშინ თქვენ ხატის ასლი მაჩუქეთ, (ხატის ასლები უსასყიდლოდ გადაეცა მოსახლეობას) რომელიც ძალიან შემიყვარდა და ჩემთვის დიდ საუნჯედ იქცა. ერთხელ, როცა ლოცვებს ვკითხულობდი, სიყვარულით ლოყა მივადე ხატს და გავირინდე, საოცარ სიმშვიდეს ვგრძნობდი. ხატს ხელი მუდამ თბილი ჰქონდა და ეს სითბო საოცარ ნუგეშს მაძლევდა, მაგრამ ახლა სხვაგვარად მოხდა. ეს სითბო გაძლიერდა, უფრო გაცხელდა და ვგრძნობდი, საფეთქლიდან თავში როგორ შემომეჭრა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხელიდან მომავალი სიმხურვალე. თავი სულ გამიცხელდა“,–ყვებოდა ქალბატონი. როგორც მისი საუბრიდან შევიტყვეთ: როდესაც ლოცულობდა ხშირად იხუტებდა ხატს და ეს პროცესი ყოველთვის მეორდებოდა. შემდეგ მივხვდი, რომ ღვთისმშობელი ამით კურნებას მაძლევდა და მეც ამ გზას მივმართავდი. უდიდეს სიყვარულს ვგრძნობდი და შიშიც აღარ მქონდა. რაღაც დროის მერე მივხვდი, რომ კარგად ვიყავი. ექიმთანაც არ წავსულვარ დიდხანს, მაგრამ შემდეგ, როცა კონტროლი გავიკეთე, ვნახე, რომ სრულიად გამოვჯანმრთელდი. ახლა კი იმისთვის ჩამოვედი, რომ „დედოფალს“ მადლობა ვუთხრა და მოვეალერსო“. საოცრად ამაღელვებლად ყვებოდა სათნო ქალბატონი ამ ისტორიას, მის სიტყვებში უდიდესი რწმენა, სიყვარული და მოწიწება იყო და იმავდროულად, სიახლოვე ღვთისმშობელთან.

**ნათია უტიაშვილი.**

# ტკივილი, რომელიც სულის ზიარია და დრო ვერ ანელებს...

გოგა ჯითანავა


ლევან ჯოჯუა

დადგა აგვისტო, ავადმოსაგონარი, ტკივილიანი დღეები, უკვდავი, მუდმივი, ყოველწლიურად გაახლებული სიყვარული, სიყვარული მოყვასისა, სამშობლოს შეწირული გმირებისა... ხსოვნა მარადიულია, მათი სახელები თაობიდან თაობას გადაეცემა და საუკუნეებს გაუძლებს.

რუს აგრესორებთან ბრძოლაში დაცემული ბიჭები თანამედროვე გმირებად მოეფინენ სამშობლოს ამერ-იმერს. დაგვიბრუნდნენ გაუსაძლის მონატრებად, საქართველოს უძლეველეობის რწმენად... მათ ლამაზ სიცოცხლეს სიკვდილმა დაადგა შარავანდედი და დაგვარწმუნა, რომ თურმე გმირებად არ იბადებიან, გმირები ხდებიან... რადგან ყველა მათგანმა კარგად იცოდა, რომ ქართველებს „არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი, არ გააჩნია“...

ჩვენი თანამედროვე გმირები, ქართული ჯიშისა და გენის მატარებელნი... სურათებიდან შემოგვცქერიან ლამაზები, ტანადები, სევდიანი ღიმილით... მათი ხატება აბრწყინებს გარესამყაროს...

მათი უკვდავი სული მარადიული სასუფევლიდან მერამდენედ გვახსენებს რომ „სამშობლო ერთადერთია.“

„მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს“ განა მხოლოდ აგვისტოს დღეებში, ისინი მუდმივად ჩვენს გვერდით არიან, სიმბოლოდ სამშობლოს უდიდესი სიყვარულისა და მაგალითად ამ სიყვარულისთვის თავდადებისა. ყოველთვის, როცა მათ მემორიალთან ვდგავარ, ამომიტივტივდება პოეტის სიტყვები: „თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა!“

დიდება მათ უკვდავ სახელებს!

**მერი ლაგვილავა**

დათა ხურცილავა

გოგიტა ქარჩავა

მიხეილ იოსავა

# ზარი!..

*(მიშიკო იოსავას ხსოვნას)*

საქართველოს ცა სახეშეშლილ შავ ღრუბლებს დაელაქათ... განრისხებული წვიმას აპირებდა, სახსრებში ტეხავდა ჰორიზონტს, კიბეაღმართულ ფიქრებს საფეხურები ებზარებოდა, ადიჩადიოდა აფორიაქებული, დაბნეული და სასოწარკვეთილი. მზე დატუქსულივით იხედებოდა ღრუბლებიდან და მზერას არიდებდა დედამიწას. საქართველოს ცა რაღაც განსაცდელს ელოდა თითქოს, გული ტკიოდა, ათასჯერ ნატკენი გული. წუხდა, ბუტბუტებდა. ომებს შეჩვეული ქვეყანა ისევ ომის მოლოდინში იყო... ვერ გაურბოდა მეზობელი ქვეყნის, ცხვირწინ ატრიალებულ მუჭმომართულ მუქარას. თავდაუხრელი იდგა მის წინ და ელოდა ...საქართველოს დაპატარავებულ ტერიტორიებს სისხლად ათოვდა და აწვიმდა საუკუნეების მანძილზე ომების რისხვა, სულით ვერ დააპატარავეს, დაუშანთეს სიყვარულით ანთებული გული... ქეთევანის ნაწამები სხეულით იტკივილა ისტორიამ...

რა დიდი ხარ საქართველოვ, შენი დამარცხებაც გამარჯვებაა..

* * *

მიშიკოს გაეღვიძა, მწვანე თვალებში აგვისტოს მზე ედგა, უკანასკნელ დილას ღიმილი შეყინვოდა...შიში ლოგინზე წამოწოლილიყო და ბალიშზე თავი დაედო მოთენთილს. ძარღვებში სისხლის დინებას მიჰყვებოდა და გულის კარებთან გადი-გამოდიოდა ტკივილშერეული განცდა... აღარ ჩერდებოდა... უნებურად მოძრაობდა... ტკიოდა წინათგრძნობა, ტოკავდა...

* * *

8 აგვისტო. 2008 წელი.

შავი ღრუბლები სიცივეს ჩამობერტყავდა და მზეს სწრაფად შორდებოდა, მოჩვენებითი მზე ხან ანათებდა, ხან არა...დახეტიალობდა უსინათლოსავით, ოხრავდა და გზააბნეული ვერ ისვენებდა. დედას დაეძებდა, დედის თბილი მკერდი თუ გაათბობდა შეციებულ მზეს...

სენაკის სამხედრო ბაზისკენ მობილიზებული ბიჭებს მიაცილებდათ დედის ლოცვა და ცრემლიანი თვალები, მზეს აღარ უხაროდა დღეს რომ ანათებდა, დაძრწოდა შიში... ომი გაეჩაღათ საქართველოს ცაზე მზესა და ღრუბლებს, ცასა და მიწას შორის ქაოსი სუფევდა...

* * *

ბაზაში გამოცხადებამდე რამოდენიმე საათი იყო დარჩენილი, სამშობლო უხმობდა მიხეილ იოსავას. მას დროის გასვლასთან ერთად საყვარელ კერიასთან, სადაც დაიბადა და სიცოცხლეს ეზიარა, უწევდა დამშვიდობება. სიმხურვალე მკერდს მოსდებოდა, ეწვოდა სიყვარული და ამ სიყვარულით აცოცხლებდა ყოფას... მადლი გადმოდიოდა აკვნის არტახებიდან, სადაც დედის „იავნანა“ ამღერებულა და დარწეულა...

ომში მიმავალი რეზერვისტი ბევრს ფიქრობდა... ბოლო მიხურვა კარის, ბოლო ჩახუტება ოჯახის წევრებთან და ბოლო ნაბიჯები მამასთან ერთად... ნაფეხურები... კვალი... კვალი დარჩა მხოლოდ... ცეცხლოვანი კვალი, რომელიც არ ჩაჰქრება და ახლაც იწვის...

* * *

რვა რიცხვის ბოლო წუთები ცახცახებდნენ, ილეოდნენ, პატარავდებოდნენ და დროის სიღრმეში იმალებოდნენ... სამხედრო ნაწილი შეჩერდა, ვერ გაიყვანეს ჯარი გაურკვეველი მიზეზების გამო. ვერ შეეშველნენ თანამებრძოლებს ომში ჩართულთ... გათენებას ელოდნენ და არ იცოდნენ რას მოუტანდათ ახალი დღე. ეზოში მიმოდიოდნენ, მომწყდარ ვარსკვლავებს ითვლიდნენ, ცვენა ვარსკვლავთა არ ილეოდა, ცეცხლოვანი კუდი სერავდა მთვარეს, სახე დაღადვროდა, წამწამები ამოტრუსოდა, დაბერებულა ერთ ღამეში და სიკვდილს ელოდა ხეიბარივით ლოგინს მიჯაჭვული. მოლოდინი რაღაცის, მოლოდინი უმიზეზო, უშედეგო, უნაყოფო...

მიშიკო თავდაღუნული დაჯდა, ვარსკვლავების თვლამ დაღალა და მოგონებებში ამოჰყო თავი. ბავშვობა მოაგონდა, სკოლა, ამხანაგები, გაკვეთილზე მოყოლილი დავალება... მშვიდი ცხოვრება... უცებ დაბადების დღემ გაუელვა თვალწინ... მეგობრებთან მოლხენა და გართობა. მშობლიური ხობის ქუჩებში სიარული მოენატრა, წამში ყველაფერი ერთად მოაგონდა და ინატრა წარსულში დაბრუნება...ვაი, რომ მხოლოდ მოგონებები გვაბრუნებს წარსულთან. გაფერადებულ დროს მიაქვს და ინახავს, ფურცლებად კეცავს, ჯიბით დაატარებს უბის წიგნაკში ჩაწერილ ყოველ ფრაზას და სტრიქონს, დრო სინათლეს დააფენს ხოლმე. მტვერდადებულ ალბომს გადაშლის და... ამოვლენ გაყვითლებული ფოტოკად-

9

ლევან ტურავა

ზვიად დათუაშვილი

რამაზ კიტია

# სრემლის ეცემა

*(გოგა ბერაიას ხსოვნას)*

ცრემლის წვეთები ეცემა ცერად...

დიდ ტკივილსა და მონატრებაში გადის წლები...

ამბობენ, დრო საუკეთესო მკურნალიაო, მაგრამ ყოველთვის ასე არ ყოფილა. აგერ უკვე ცხრა წელი გავიდა და გონება ვერა და ვერ შეეგუა იმ აზრს, რომ შენ, სიცოცხლითა და ენერგიით, ჭკუითა და გონებით, სიბრძნით, სიდარბაისლით, სიკეთითა და პატიოსნებით, მჭერმეტყველებითა და იუმორით სავსე. წარმატებული სტუდენტი, რომელიც ოცნებობდი, ფიქრობდი მომავალზე, ჩვენთან აღარ ხარ...

დრომ მოგონებებთან გამოთხოვება ვერ შეძლო, პირიქით, ტკივილი გაამძაფრა. რაც დრო გადის, მით უფრო ხშირად ისმის შენი მეგობრებისგან, ახლობლებისგან თუ მეზობლებისგან: „გოგა სადა ხარ, ეჰ, ახლა გოგა აქ რომ იყოს“.

რა არის ეს, მარტო შენი მონატრება, თუ

# წვეთები ცერად...

გოგა ბერაია

ის, რომ ყველას ახსოვხარ, არ ავიწყდები...

შენს საფლავთან ხშირად ვიკრიბებით ჩემო სისხლო და ხორცო, ჩემო გმირო. როგორ მენატრები. რაც დრო გადის მონატრება ძლიერდება, მიყვარხარ და მეამაყები.

**ნაირა ბერაია.**

# მამულს შეწირულ ვაჟკაცებს

მიწავ, სისხლით გაპოხილო,
მთებო ტყეაშლილებო,
საქართველოს საძირკველო...
ლირსეულო შვილებო.
არტახაშლილ გულებს ჩვენსას
ვერვინ დაეუფლება.
ვაჟკაცურად შეეწირეთ
ქვეყნის თავისუფლებას.
თქვენი მამაცობის ამბავს
მოვუყვებით თაობებს,
ისტორიის ცოცხალ ფურცლებს
ჟამი ვერ დაეობებს...
ახლაც გვესმის თქვენი სუნთქვა
და ქართული ჰანგები,
გულში ძეგლად
ალმართულხართ
მამულს შეწირულები!

**ნაირა ბერაია**



რები. ხელში რომ დაგეფშვნება სიძველის გამო ...სიძველის სუნი რომ იტრიალებს აწმყოსთან და მომავალთან შეზავებული.

* * *

შუქმა გადაიქროლა, გათენდა წამიერად, ირგვლივ ვარსკვლავები ჩამოცვენილიყო და მიწაზე დაცოცავდნენ, სულს ღაფავდნენ და კვდებოდნენ... გაწვიმდა, ქარი ქროდა... სისხლის წვიმა წვიმდა, სისხლიანი ქარი ქროდა და ღებავდა ჰაერის კედლებს, ბომბავდა რუსი ქართველებს და სისხლიან ნაკვალევს ტოვებდნენ. ტკიოდა სისხლს გულზე მიბჯენილი ჩექმა, ახრჩობდა. დასაჯეს სამშობლოს სიყვარულისთვის, მუქარის მუჭი გაშალეს მტრებმა და აიხდინეს ოცნება... ზაფხულის ცხელი ღამე გაცივდა, გაიყინა თითქოს იანვარი სტუმრებია. გაშმაგებული სიკვდილი და სიბნელე გადარბოდნენ ბიჭების სხეულებზე... ჭურვების ნამსხვრევებით გახლეჩილი გულიდან სამშობლოს სიყვარული ღვარად სდიოდათ...

მიშიკო იოსავა, დათა ხურცილავა, ლევანი ჭოჭუა, გოგა ბერაია, გოგა ჭითანავა, გოგიტა ქარჩავა, ლევან ტურავა, პოლიციელი რამაზ კიტია. ზვიად დათუაშვილი, ხობის შვილები... რა დიდი ხარ, საქართველოვ, დიდი შვილების დედა ხარ. შენი დამარცხებაც გამარჯვებაა...

* * *

სიცოცხლეწამოჩიტულ ვაჟკაცებს ომიც არ დაანახეს, ომის გარეშე, უიარაღოები ჩახოცეს სამხედრო ბაზაში, გამოცდილება და ომთან გამკლავება არ აცალეს, შეშინდა მტერი და მიპარვით თავს დაესხა საქართველოს შვილებს. ასე იყო საუკუნეების მანძილზე, მაგრამ საქართველოს ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად, ვერავინ ვერ აჩოქებდა...

* * *

მთვარე მოწყდა ცას, ზღვაში ჩაიძირა...
ღამე გარდაიცვალა...
საქართველოს დროშა ეფარათ გმირთა ცხედრებს...

* * *

მიშოს ელოდება თბილი კერა, მოდის და მიდის ისევ სახლს დანატრებული, ისევ ბრუნდება სამუდამო სასუფეველში, შეეჩვია იმქვეყნიურ წესს, ზოგჯერ სტუმრობს და ფანჯრით შეჰყურებს გულატკივებულ ოჯახის წევრებს, დანანებით ისევ გადის ეზოდან და საფლავისკენ მიუჰყვება გზას. იქ მეგობარი დათა ხურცილავა ელოდება, მასთან ერთად განწირული გმირი. მათი საფლავები ერთმანეთს შეჰყურებენ, ხობისწყლის ნიავი მარმარილოს ქვაზე აღბეჭდილ სურათებს შუბლს უკოცნის, ეფერება ნაომარ, სიცოცხლეშეციებულ მზერას...

* * *

მიშიკოს მობილური ტელეფონი დღესაც რეკავს, დედას არ მოცილებია მისი ნაქონი ნივთი, მიშიკოს სურათი იღიმის ეკრანიდან... სიგნალმა დარეკა, შეტყობინება მიიღო, „დედას დაბადების დღე“ დაეწერა ინგლისური შრიფტით, ასე ულოცავს ყოველ დაბადების დღეს დედას... არ ამოშლილა ტელეფონის წიგნაკში დამახსოვრობული ჩანაწერი. ის აქ არის, დედასთან ახლოს..

ცაზე ისევ გამოჩდნენ ვარსკვლავები, ვარსკვლავებმა აიტაცეს ჩვენი ბიჭების სულები. ისინი არასოდეს მოწყდებიან როგორც იმ ღამეს, ისინი იბრწყინებენ ყოველი ღამის გასანათებლად... საქართველოს დასაცავად ციდან ლოცვას მოგვმადლიან წმინდა გმირები...

* * *

გმირებო, თქვენი სიკვდილი სიცოცხლეზე დიდია, თქვენ სიმდიდრე ხართ ჩვენი წარსულის, აწმყოსა და მომავლის... გამარჯვებაზე გამარჯვება!..

***ნინო კემულარია.***

თვალსაზრისი

 დიდებულთა სამოსელი და ოქროს ხანა

# როგორ განსხვავდება გიორგი დადიანისა და შერგილ დადიანის სამოსი ხობის ფრესკებზე

ცოტნე დადიანი ხობის ტაძარში წარმოდგენილ რეპროდუქციაზე

ხობის ტაძარს ძველი და მრავალფეროვანი ისტორია აქვს. იგი ხობის მონასტრის ხუროთმოძღვრულ კომპლექსში შედის და ყურადღებას იპყრობს უძველესი ჩუქურთმებითა და ფრესკებით, რომლებიც საგრძნობლად არის დაზიანებული. აქ არსებობდა საწინამძღვრო, საეპისკოპოსო, აგრეთვე კათალიკოსის რეზიდენცია...

უძველესი დოკუმენტი, რომელშიც ხობია დასახელებული, გახლავთ ჯვრის სამონასტრო მატიანეში შეტანილი აღაპი, სადაც მოხსენიებული არიან ცოტნე დადიანის ოჯახის წევრები და ახლობელი პირები. მათ შორის ეგნატე, ხობის წინამძღვარი. მოსახსენიებელში ნათქვამია: „ქ. ამასვე დღესა აღაპი ეგნატი ხოპისა წინამძღვრისა.“

ხობის ტაძარი ისტორიული ფიგურის, ცოტნე დადიანის მამის–შერგილ დადიანის ოჯახის განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა. აქ დაცულია კიდეც შერგილის, მისი მეუღლე ნათელისა და ყმაწვილ ცოტნეს ფრესკები. ისევე როგორც ლაშა-გიორგის გაუგზავნია იერუსალიმში მოსახსენიებელთა განსაწესებლად მესტუმრე შალვა, შეგრილ დადიანსაც წარუგზავნია იქ ეგნატე ხობისა წინამძღვარი და ბარამ უშაფათელისძე. დოკუმენტში მოხსენიებულია ასევე ეგნატეს დედა ნისიმე და მისი ძმა ყელგრძელი. რაკი ეგნატე ხობის წინამძღვრად მოიხსენიება, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პერიოდში ხობი საწინამძღვრო იყო და, როგორც ჩანს, იმდროინდელმა ოდიშის ხელისუფლებამ, ხობის წინამძღვრის სახით, ხობის უმაღლესი საეკლესიო წარმომადგენლობა გაგზავნა.

ეგნატეს მოსახსენიებელი 1212-1222 წლებით თარიღდება. ამიტომაც მისი წინამძღვრობა XIII საუკუნის პირველ ნახევარზე მოდის.

* * *

უაღრესად საინტერესოა ხობის ტაძრის ერთი ფრესკული წარწერა. ჩრდილოეთის კედელზე წარმოდგენილია გიორგი დადიანი, რომელსაც ეკლესიის გეგმა უპყრია ხელთ, და იქვე მხედრულად წერია:

ამ: საყდრისა:. აღმაშენებ(ე)ლი:. ერის
თავი:. ერისთავი:. და მანდატორ:.
რთ|უხუცესი:. დადიანი გ
ირგი:. შეუნდს:ღმ
თმნ:. ამინ

ტაძრებში ისტორიული პირების ამგვარად გამოსახვა, ძირითადად, მიგვანიშნებს მათზე, როგორც ტაძრის მშენებლებზე, ან როგორც მნიშვნელოვანი ღონისძიების გამტარებელ პირებზე. მაგალითად: ბაგრატ III ბედიაში, დავით აღმაშენებელი გელათში, ლევან II დადიანი (1611-1657) წალენჯიხაში და სხვ. წარწერაში მოხსენიებული გიორგის ვინაობის შესახებ გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება: ერთი აზრი, რომელიც შეიძლება დაგვებადოს, ის არის, რომ ეს გიორგი ლევან II-ის ბიძაა. იგი კარგად არის ცნობილი მისი თანამედროვე წყაროებიდანაც, თუმცა, როგორც აღნიშნა თავის დროზე ექვთიმე თაყაიშვილმა, ეს მოსაზრება უკუსაგდებია. ამგვარი ტიტულატურა–მანდატურთუხუცესი და ერისთავთ-ერისთავი–XVII საუკუნისთვის სრულიად შეუფერებელია. ლევან II-ის ბიძა გიორგი ყველა დოკუმენტში ლიპარტიანად იწოდება, ასე აწერია წალენჯიხის ერთ-ერთ ეკვდერში მოთავსებულ მის პორტრეტსაც–„ლიპარტიანი ბატონი გიორგი“.

ვახტანგ ბერიძის აზრით, ეს გიორგი დადიანი ტაძრის სამხრეთ კედელზე გამოსახული პირების შერგილ, ნათელა და ცოტნე დადიანების თანამედროვე უნდა იყოს, მაგრამ, როგორც მეცნიერი მიიჩნევს, აქ კოხტასთაველი გმირის ოჯახთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ხობის ტაძრის ეს პორტრეტები სხვა ცოტნესა და მის მშობლებს გამოხატავენ. მეცნიერი თავის მოსაზრებას წალენჯიხის ხატის წარწერით ასაბუთებს, სადაც ნათქვამია: „ვამკობ ჯუარსა შენსა მაცხოვარო წალენჯიხისაო, მინდობილნი შენნი: მანდატრურთუხუცესი: დადიანი ბედანი და მე ძე მათი, მეორედ მამკობი დადიანი გიორგი, და მე დადიანი შერგილ და მეუღლე ჩემი ნათელ, მესამედ მამკობნი ხატისა თქვუენისა“.

ვახტანგ ბერიძის აზრით, ამ წარწერაში ერთად მოიხსენიებიან ის სახელები, რომლებიც ხობში შემონახულია და აქამდე ვერ უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. იგი ფიქრობს, რომ ზემოთხსენებული გიორგი არის ბედან II-ის (1260-1290) ძე, ბედანი კი თანამედროვეა დავით ნარინისა (1245-1293). ისინი ერთად მოიხსენიებიან ხობის ჟამთააღმწერელის თხზულებებში, ამიტომ მეცნიერი შერგილ დადიანსა და მის მეუღლე ნათელას, აგრეთვე. გიორგი ბედანის ძეს, XIII საუკუნის II ნახევრისა და XIV საუკუნის დასაწყისის მოღვაწეებად მიიჩნევს. ამავე პერიოდში აქცევს ფრესკაზე გამოსახული ყმაწვილი ცოტნეს ცხოვრებასაც.

ჩვენი კვლევა განსხვავებული მოსაზრების გამოხატვის საშუალებას გვაძლევს და ამ შემთხვევაში, ყურადღებას ქტიტორთა ჩაცმულობაზე ვამახვილებთ. ვფიქრობთ, ხობის ფრესკებზე გამოსახულ პირთა სამოსი კარგად ასახავს შესაბამის ეპოქებს. სამეგრელოს ერისთავთ-ერისთავ შერგილ დადიანს ხობის ფრესკაში თითქმის ისე აცვია, როგორც ვარძიის ფრესკაზე გამოსახულ რატი სურამელს. ამ შემთხვევაში მამაკაცის კაბა წელზე მომდგარია და ბოლოში ოდნავ იშლება. ოქროსფერ ქსოვილზე შესრულებული ნაქარგობითაა შემკული. დადიანს მკლავის ნაქარგობაზე თითქოს არაბული წარწერა მოუჩანს. ეს ე.წ. კუფური წარწერაა, რომელსაც იმ პერიოდისთვის ქართულ ქსოვილზე დაკარგული ჰქონდა პირველადი ფუნქცია და მიუხედავად ასოთა მოხაზულობის შენარჩუნებისა, წმინდა დეკორატიულ ხასიათს ატარებდა. ასეა ეს როგორც დადიანის, ისე რატი სურამელის ფრესკაზეც. რატის მოღვაწეობის პერიოდი დანამდვილებით ცნობილია და იგი XII საუკუნის II ნახევრითა და XIII საუკუნის დასაწყისით თარიღდება. აღსანიშნავია, რომ სამეგრელოს ერისთავთ-ერისთვის სამოსი უფრო ადრეულ ეპოქასთანაც პოულობს პარალელებს, კერძოდ რაჭაში, ზემო კრიხის ეკლესიაში გამოსახულ XI საუკუნის ქტიტორებთან, ვაჩიანებთან. ხობში გამოსახულ შერგილს ქუდიც სურამელის მსგავსი, მაღალი და ოდნავ წაწვეტებული ახურავს.

გიორგი დადიანის ფრესკაზე ერთი შეხედვაც საკმარისია, რათა ცხადი განსხვავება დაინახო მის ჩაცმულობასა და სამხრეთ კედელზე გამოსახულ დადიანების სამოსს შორის. ცხადია, რომ გიორგი, თანადროულ ეპოქაში ჩაცმულობის სტილი სრულიად შეცვლილია, ერისთავს მოყავისფრო, გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტებით დამშვენებული სამოსი აცვია. ექვთიმე თაყაიშვილი მას ხალათის მსგავსს უწოდებს. შიგნიდან დადიანს უსაყელო თეთრი ქსოვილის პერანგი მოსავს, ასეთივე ფერის ქამარი სადად არის შეკრული. ერისთავთ-ერისთვის თეთრი, მომრგვალებული ქუდი აგებულებით სვანურს წააგავს. ჩვენი აზრით, იგი მატყლის ქსოვილისგან იქნებოდა შეკერილი. როგორც ცნობილია, საქართველოში სელის შემდეგ ყველაზე მეტად გავრცელებული სწორედ მატყლის ქსოვილი იყო. მის ერთ-ერთ სახეობას ფიჩვი ერქვა და მონაზონს ამიტომაც უწოდებდნენ ფიჩოსანს. ეს ტერმინი გვხვდება IX-X საუკუნეების ბოლნისის წარწერებში და გიორგი მთაწმინდელის XI საუკუნის თხზულებაში. ერთი სიტყვით, გიორგი დადიანის ქუდი ისეთივე წაწვეტებული აღარ არის, როგორც რატი სურამელის XIII საუკუნის ან ვაჩიანების XI საუკუნის ფრესკებზე ჩანს.

გიორგის სამოსი მსგავსებას უფრო ავლენს რაჭის ერისთავ შოშიტას XIV საუკუნის და ამავე ეპოქის კიდევ ერთი ქტიტორის, შალვა ქირქიშლიანის ჩაცმულობასთან. ჩვენი აზრით, გამორიცხული არ არის, დადიანს მანდატურთუხუცესის სამოხელეო ტანსაცმელი ეცვას. ვფიქრობთ, XIV საუკუნის საქართველოში, ისევე როგორც ბიზანტიაში, მოხელენი უწყებათა მიხედვით განიყოფოდნენ და თითეულ უწყებას თავისი განსხვავებული სამოსელი ჰქონდა. გიორგის ხალათის მსავსი კაბა მანდატურთუხუცესის წოდებაზე უნდა მიუთითებდეს. იგი ძვირფასი ქსოვილისგან იქნებოდა შეკერილი და როგორც ჩანს, მთლიანად მოქარგული იყო, სავარაუდოდ, ოქრომკედით. მთავარი კი ის არის, რომ ქართველ დიდებულთა ტანსაცმელი XIV საუკუნეში უფრო პოპულარული სადა ქსოვილი და წაწვეტებული ქუდები იყო, საუკუნის შემდეგ, ქსოვილი უფრო მრავალფეროვანი და დაჩითული გახდა, ქუდის ფორმაც მომრგვალდა. ამდენად, გიორგი დადიანი ჩაცმულობით უფრო XIV საუკუნის მოღვაწეს ჰგავს, შერგილ და ნათელი დადიანების ქვემოთ მდგარი ყმაწვილი ცოტნე დადიანის ჩაცმულობა და წაწვეტებული ქუდი კი XIII საუკუნეზე უნდა მიუთითებდეს.

ჯვრის სამონასტრო მატიანეში შეტანილ აღაპში, შერგილ და ნათელის მოსახსენიებელთან ერთად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მდივან-მწიგნობარს ხოპის წინამძღვრის ეგნატეს მოსახსენიებელიც ჩაუწერია.

პროფესორი ელენე მეტრეველი აღაპებს XIV საუკუნით ათარიღებს. თუ ამ გარემოებას გავიზიარებთ, გამოდის, რომ ეგნატესაც ამ პერიოდში უღვაწია, თუმცა ხობში ამ დროს სულ სხვა ვითარებაა. XIV-XV საუკუნეებში აქ უკვე საეპისკოპოსო არსებობს და ცნობილია კიდეც XIV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწის, ილარიონისა და XV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწის, საბა ეპისკოპოსის სახელები.

ამიტომ, ვფიქრობთ, შეუსაბამოა მანდატურთუხუცესსა და ერისთავთ-ერისთავთან ერთად, ხობელი წინამძღვრის მოხსენიება იმ პერიოდში, როცა ხობის საეპისკოპოსო საყდარში უკვე ეპისკოპოსი ზის.

ერთი სიტყვით, მართებულად არ მიგვაჩნია მოსაზრება, რომ ხობში გამოსახული შერგილის ოჯახის პორტრეტი XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე ადრინდელი არ შეიძლება იყოს. ქტიტორთა ჩაცმულობა და ჯვრის მონასტრის აღაპში მოხსენიებული სასულიერო პირის ვინაობა სწორედაც მიუთითებს, რომ ხობის ტაძრის სამხრეთ კედელზე გამოსახული პირები კოხტასთავის შეთქმულების გმირის, ცოტნე დადიანის ოჯახია და ეს მხატვრობა XII საუკუნის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს და მათ ვერაფრით დავუკავშირებთ ჩრდილოეთის კედელზე გამოსახულ ერისთავთ-ერისთავსა და მანდატურთუხუცეს გიორგი დადიანს. ეს, წარწერის შინაარის მიხედვით, უნდა იყოს XIV საუკუნის II ნახევრის მოღვაწე გიორგი II დადიანი (1345-1384).

* * *

წარწერაში გიორგი „საყდრის აღმშენებლად“ მოიხსენიება. ექვთიმე თაყაიშვილის აზრით „ეს დადიანი პირველი მაშენებელი არ არის ხობის ეკლესიისა და ეს შეუძლებელიც არის, ვინაითგან:–ხობში დაცულია XII საუკუნის ფრესკა შერგილ დადიანისა. გიორგი II-ს უნდა მიეწეროს, ჩვენი აზრით იმ ღია შტოს მიშენება, რომელიც უვლის ხობის ეკლესიას სამხრეთით და აღმოსავლეთით“ აქედან გამომდინარე, გიორგის მართლაც შენების დამწყებად ვერ მივიჩნევთ. შესაძლებელია, გიორგი II ხობის ტაძარს რესტავრაცია გაუკეთა, ან კიდევ, გალერეები მიაშენა. ყოველ შემთხვევაში, მის სახელს აქ მნიშვნელოვანი ძვრები უკავშირდება. თუმცა, აუცილებელი არ არის, საყდრის აღმშენებლობა მაინცდამაინც ხუროთმოძღვრული კომპლექსის მშენებლობას დავუკავშიროთ–ძველ ქართულში „საყდარი“ სკამს, ტახტსა და საეპისკოპოსოს ნიშნავდა. ამიტომაც გამორიცხული არ არის, რომ აქ გიორგი II-ის სახელს არა მარტო სამშენებლო საქმიანობა, არამედ კათედრის დაარსება უკავშირდებოდეს, მით უფრო, რომ პირველი ხობელი ეპისკოპოსი სწორედ XIV საუკუნეშია ცნობილი. ამიტომ უფრო საფიქრებელია, რომ ხობში საეპისკოპოსო კათედრა გიორგი II დადიანმა დააარსა.

**_გიორგი კალანდია,_**
**_ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხელოვნების სასახლის დირექტორი._**

„დროის იეროგლიფები“

# ცოტნე დადიანისა და შოთა რუსთაველის დანათესავება

## პოეტური აზრის მწვერვალზე

პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიური ოთხტომეულის მეორე წიგნში (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით მომზადებულში). „რუსთველიანას ეპილოგის“ მეორე ნაწილს სამი ნარკვევი რომ შეადგენს, მათგან პირველი ასეა დასათაურებული:

„ძეგლი შოთა რუსთველის ოჯახიდან. შოთას ახლობელნი. პოეტი ქალი ბორენა“

რა ძეგლი იგულისხმება?

გიორგი მთავარმოწამის ხატი, XII-XIII საუკუნეთა ქართული ხელოვნების ნამდვილი შედევრი, შესრულებული ბექა ოპიზარის სკოლის დიდი ხელოვანის მიერ.

ძეგლის ზურგის მხარეს დაცულიყო წარწერა შოთა რუსთველის ძმის ტბელი გრიგოლის ძისა, რომელიც იყო მონაპირე სპასპეტი (მხედართმთავარი) ჰერეთის საერისთაოსი თამარ მეფის დროს.

ეს ძეგლი XX საუკუნის დასაწყისამდე ინახებოდა სამეგრელოში, ხობის მონასტერში, რომელსაც განაახლებდა და მოხატავდა ცოტნე დადიანის მამა–შერგილი, რომელიც მონასტრის კედლის მხატვრობაშიც გადასულიყო ცოლშვილთან ერთად, მაშინ როდესაც ცოტნე ათიოდე წლის ყმაწვილი იქნებოდა.

განა რა გზით შეიძლება მოხვედრილიყო ძეგლი შოთა რუსთველის ოჯახისა შერგილ და ცოტნე დადიანთა ოჯახში.

მოსალოდნელია, რომ მათი დანათესავების გამოისობით.

ფეოდალურ გვარებში დადგენილი წესის თანახმად, ქალისათვის, გათხოვების დროს, აუცილებლად უნდა გაეტანებინათ ხატი, რომელიც მითუფრო ძვირფასი უნდა ყოფილიყო, რაც უფრო დიდი გახლდათ საგვარეულო და ისე ჩანდა, რომ დადიანთა ოჯახში რძლად მიეყვანათ ქალი ჰერეთის ბაგრატიონთა ოჯახიდან და მას მოეტანა აქ ეს ხატი. წყაროების სინქრონული შეფარდებიდან პავლე ინგოროყვა დაახლოებით რომ გამოარკვევდა თარიღებს, აღმოჩნდებოდა, რომ შოთა და მისი ძმა ტბელი 30-35 წლით უფროსნი უნდა ყოფილიყვნენ ცოტნესთან შედარებით, ეს კი მიანიშნებდა, რომ ჰერეთის ბაგრატიონთა ქალი, ასული ტბელისა და ძმისწული შოთასი, უნდა ყოფილიყო მეუღლე ცოტნე დადიანისა.

მკვლევარს ისიც უნდა დაედგინა, რომ ცოტნეს მეუღლეს რქმეოდა ბორენა, ამით კი ახალი ფურცელი გადაშლილიყო ქართული პოეზიის ისტორიაში. ეს ის ბორენა გახლდათ, რომლის იამბიკო ხუთეულიც წარწერილიყო სვანეთში, კერძოდ ლენჯერში დაცულ ხატზე, პავლე ინგოროყვა ამ მხარეში ექსპედიციისას რომ გადმოიწერდა 1931 წელს და ჩვეული ჩაკირკიტებით გამოარკვევდა ავტორის ვინაობას და გაასწორებდა მანამდე ჩვენს მეცნიერებაში დამკვიდრებულ თვალსაზრისს, თითქოს ეს ლექსი ეკუთვნოდა ბაგრატ მეოთხის მეუღლეს.

ექვთიმე თაყაიშვილს უკვე შეემჩნია, რომ წარწერა შეუძლებელია ყოფილიყო XI საუკუნისა და ეჭვი შეეტანა ალექსანდრე ხახანაშვილისა და კორნელი კეკელიძის დაკვირვებაში, პავლე ინგოროყვა კი საბოლოოდ მოჰფენდა შუქს იამბიკო ხუთეულის, ამ პოეტური შედევრის, ავტორის ვინაობას და აღარც ის გაუკვირდებოდა, რომ შოთას პოეტური სამყარო ორგანულად შეთვისებულიყო ბორენას მიერ და შოთას რითმის პულსაცია ბუნებრივად ჩაღვრილიყო ბორენას სტრიქონებში.

ასე უნდა გაგვეცნო შოთა რუსთველის ახლობელნიც, წევრნი დიდად განათლებული, დიდი არტისტული ტრადიციების ოჯახისა: ტბელი, როგორც ავტორი ბრწყინვალე წარწერისა გიორგი მთავარმოწამის ხატზე, და ბორენა, შთაგონებული შოთას პოეზიით.

ასე უნდა გაცხადებულიყო შოთა რუსთველისა და ცოტნე დადიანის ოჯახური დანათესავების ამბავი, და პავლე ინგოროყვას ჩვეული ექსტაზით უნდა აღმოეთქვა, რომ ამ ორი პიროვნების ნათესაობა კიდევ უფრო დიდი იყო, ვიდრე ოჯახური და ხორციელი დანათესავებაა:

–მათ აკავშირებთ უკვდავი ნათესაობა სულისა, მათ აერთებთ სიყვარული სამშობლოსი. როდესაც ცოტნე დადიანი, სამშობლოსთვის თავგანწირული, მივიდა მონგოლებთან და მხრებშეკრული დაჯდა მეგობრების გვერდით, აქ მას, სამშობლოსთვის თავდადებულთა შორის, დახვდა მოხუცი შოთა.

უცხოეთში გადახვეწილი მწერალი და მეცნიერი აკაკი პაპავა, რომელსაც არჩილ ჯორჯაძე უწინასწარმეტყველებდა დიდ მომავალს, აღტაცებული დარჩებოდა პავლე ინგოროყვას ამ დიდტანიანი მონოგრაფიით, ჯერ მხოლოდ „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულით, და ემიგრანტულ ჟურნალში „ქართული აზრი“ (ნიუ იორკი 1983, ოქტომბერი, №59-60) დაბეჭდავდა აღფრთოვანებულ რეცენზიას „რუსთველიანას ეპილოგსა“ და მის განსაცვიფრებელ დამთხვევებზე და გამოხმაურების ქვესათაურად გაიტანდა ბორენას სახელს და რეცენზიის მთავარ ძარღვადაც ამ აღმოჩენას გამოიყენებდა: ბორენას ვინაობის გამორკვევასა და შოთა რუსთველისა და ცოტნე დადიანის დანათესავებას.

და მისთვის ისედაც დიდად პატივსაცემ მკვლევარს მოიხსენიებდა „მოციქულის“ სახელით, ძველი ჟამიდან ახალ დროებაში სასწაულებრივად გადმოსახლებულ პიროვნებად, რომელსაც ეს საიდუმლოც უნდა გაეცხადებინა ჩვენთვის.

მაგრამ... რომ იყვნენ და ახლაც არიან სკეპტიკოსები, რომელნიც არ იზიარებენ ამ აღმოჩენას და საეჭვოდ ხდიან რუსთველ-დადიანთა ოჯახების დამოყვრების ამ ვერსიას, მათი აზრით, ჰიპოთეზას, რომელსაც არსებობის უფლება კი აქვს, ოღონდ მთლად ჭეშმარიტებასთანაც ვერ გავაიგივებთ?! და ამიტომაც დამატებითი არგუმენტაციის გარეშე დაბეჯითებით ვერ მივიჩნევთ ამ დაკვირვებას საბოლოო დასკვნად.

კოლაუ ნადირაძე სრულებით არ დაგიდევდა სკეპტიკოსთა ამგვარ ეჭვს და შოთა რუსთველისა და ცოტნე დადიანის დამოყვრება-დანათესავების ვერსიას მიიჩნევდა პოეტური აზროვნების მწვერვალად, ამ ნარკვევს კი დიდებულ პოემად, რომელსაც–მისი მტკიცე რწმენით–სავსებით რეალური მეცნიერული საფუძველიც ჰქონდა, ოღონდ რომც არ ჰქონოდა ეს საფუძველი, ისედაც შესანიშნავი იქნებოდა, როგორც ეპიკური ჟანრის ქმნილება.

ამისთვის რომ მწერალს მიეგნო, ამ ორი პიროვნების დამოყვრების შესაძლებლობას მწერლის გონებაში რომ გაელვა, ჰოი რა რანგის პოემად აქცევდა ანდა სულაც რომანად!..

თუნდ აგერ გრიგოლ აბაშიძეს რომ მოფიქრებოდა VII საუკუნის ქართული ქრონიკების ავტორს, ტრილოგიის მესამე წიგნად ცოტნე დადიანის თავგადასავალს რომ განიზრახავდა, მაგრამ ისტორიული ცნობების სიმწირისა და სიუჟეტური ქარგის უქონლობის გამო „ცოტნე ან ქართველთა დაცემა და ამაღლება“ გვირგვინად კი აღარ დაადგებოდა ტრილოგიას, არამედ ყველაზე ნაკლები მხატვრული ძალისა გამოუვიდოდა მწერალს „ლაშარელასა“ და „დიდ ღამესთან“ შედარებით.

არადა უკვე არსებობდა პავლე ინგოროყვას ეს მიგნება და თავისუფლად შეეძლო დასესხებოდა!..

არც ახლაა გვიან და ყოველთვის შეიძლება ამ სიუჟეტური მოდელის გათვალისწინება, თუკი რომელიმე რომანისტი მოინდომებს ორი საიდუმლოებითმოცული პიროვნების–ცოტნე დადიანისა და შოთა რუსთველის–გაცოცხლებას მხატვრულ სიტყვაში, მზამზარეული სიუჟეტური ქარგა ხელთ ექნება პავლე ინგოროყვას ამ მიგნების წყალობით და პერსონაჟთა შორის უსათუოდ გამოერევა ბორენაც, ღვთისმშობლის წინაშე ლოცვად დამდგარი თავისი იამბიკო ხუთეულითაც.

* * *

ცოტნეობა და: პავლე ინგოროყვას სახელის გარეშე?

ცოტნეობა და: შოთა რუსთველის შარავანდის გარეშე?

ცოტნეობა და: ჰერეთისა და ხობის დამოყვრება-დანათესავების გარეშე?

თუმც მერმისი ჩვენს ხელთ არ არის?!

**როსტომ ჩხეიძე.**



# კოლხური ფსალმუნები

* * *

ჯვამლი აუდით ათასწლეულებს
და დიდ წარსულთან
ჟამი მაშორებს.
სიმწრის ღიმილი პირზე მაშრება:
რომ ალარ მესმის ხმები
აშურის,[1]
არც ტიბიებისა[2] და ქაშქების."[3]

**ხილვა: ჰერაკლე და ჰერკულესი**

ათწლეულების მერეც,
ტიგროსის და პონტოს
პირას,
ვჭვრეტ წინაპრებს უერთგულესს:
ამირანს და
არამხუტუს,
გმირ ჰერაკლეს და ჰერკულესს.

**ვით ობოლი მარგალიტი[4]**

ჟამთა ზღვამ რომ გამორიყა,
ვით ობოლი მარგალიტი,
ღირსი მზეში შეფუთვის:
„ტოშფა",[5] ტაბუ",[6] „მარგალითი"[7]
„საწმისის"[8] და
ეფუთი"[9]

**ბარბაროსები**

„...უძველესი საბერძნეთის მკვიდრნი
„ბარბაროსები" (ჰელაზგები ვ.ე.) იყვნენ
და არა ელინელები."
ჰეკატე მილეტელი (VI ჩვ. წ. აღ.)
მაშინ არა,
აი,
ახლაც,
„ბარბაროსთა" სიძულვილის
ზოგნი ისევ მთესავია,
და ჯვლავ შურით შესცქერიან–
ერეტასა[10] და
თესალიას.[11]

* * *

წინაპრების სულზე მლოცველს,
წარსულ დღეთა მოამაგეს,
უკვდავება პირს გარიდებს,
რადგან ჩემო!
ქვით კი არა, სიტყვით აგებ,
შენ „კოლხური ფსალმუნების"
პირამიდებს.

**ერეხელი**

„ერეხელის" შორ სიმღერას,
ისევ ვისმენ, როგორც „ლილეს".
იქნებ ეს ხმა გავაგონო,
ისტორიის ნაცარწაყრილ
დორიელებს[12] და დრილებს[13]
და ეს ფიქრი დიდ წარსულზე
ცხოვრების წესს მიადვილებს.

* * *

ჩემი წინაპრების ოდაბადე–
ანაკლია,
ფოთი და ყულევია,
და ჟამს ქარიშხლის,
ნაპირებს, რომ აწყდებიან,
ზვირთები კი არა,
უძველეს კოლხთა სულებია.

**მუზების ტაძარი**

ჰელიოსის ნათელს ჰფენდა–
კოლხურ მიწას ცა–
მზიანი
და რეკავდა სხვა ზარი.
სხვაგან არა,
აქ, ფაზისთან–
იდგა თვითონ ფასიანე

და „მუზების ტაძარი"

**აიეტის სასახლე**
**(ვარიანტი)**

უხმობთ უფალი
მიტომ მწვერვალებს,
მაღლა ეწევათ ძალა მთებური...
ცაზე ღრუბლების არ ჩანს ნასახი.
და მირიადი ვარსკვლავებივით
განათებული,
მთვარე კი არა,
აიეტის ბრწყინავს სასახლე.

**ისევ ან მარე**

ხუთიათასწლეულის იქით-
კოლხეთს და ქიმეთს
მეუფობდა ან მარე.[15]
და ახლა კი ზოგ-ზოგი:
წარსულში ასამარებს
ისტორიას კოლხეთის.

**ვაჟავ!-ძევ ჰელიოსის**

მზედ და ურიცხვ ვარსკვლავად-
კოლხეთის ცას მიშლილო...
ბინადარო ენგურის,
ფაზისის და ნილოსის.
ვაჟავ!
პონტოს ზღვის შვილო,
ვაჟავ!
ძევ ჰელიოსის.

**ხილვა: პოსეიდონი და კლიტო**

ფაზისის და პონტოს პირას-
საცხოვრისი იყო კოლხთა
და მათი ძის-
დევ-გმირ ქართუს.
ზღვის ხმაურში ახლა მიტომ,
ვჭვრეთ ოჯახურ დავით
გართულს-
პოსეიდონსა[16] და კლიტოს[17].

* * *

***კოლხებს შემონახული აქვთ თავიანთი მამათაგან ნაწერი კარბები.***
***აპოლონიოს როდოსელი***
***(IV ს. ჩვ,წ. აღ-მდე)***

გვერდითა გყავთ ძიძა-პონტო
და კოლხეთი ზღვის და ცოდნის
უპირველეს აკვანს არწევს
ტალღები კი ჰგვანან კირბებს-
წიგნებს ჯრავის ტყავზე
ნაწერს.

**თალმუდი და თორა**

***„ნუ მოატყუებთ სხვებს, რომ თქვენც არ მოგატყუონ"***
***იესო ქრისტე***

როცა უფლის შიში იგრძნეს,
მაშინ რწმენა გაიტაცეს
და ისინი იქცნენ ქორად.
ქალდეველთა ახლავს სიბრძნე-
მოსეს, „თალმუდსა" და
„თორას"[18].

**ქალდეველთა ქვეყანა**

შემოდგომით ისმოდა
საამო ხმა „ნადურის",
(ხვავი ოქროდ ეყარა...)
დღე-მზე დაჩახჩახებდა,
ღამით მთვარე-„ქალდური"–
ზღვიდან-ზღვამდე გადაშლილ
ქალდეველთა ქვეყანას.

**კოლხა-კოლა-არტაანის**

თვით უფალი მფარველობდა
მათ მზეს, ცაში ატანილს:
შურუპაქის,
შაურქინის,
ქარდუს, ურის და ნიპურის
კოლხა-კოლა-არტაანის.

* * *

ვაჟავ!-
ეგრისელობა,
ჰაუ, რამდენს გავლებს!
როგორც ბრძოლის ყიჟინა–
დიდგორის და ასპინძის.
შენ ხარ შთამომავალი–
ადამ პროტოპლასტის[20]" ძის.

**ნანგრევებში კნოსოსის**[21]

კარი პრეისტორიის
ვერ იქნა, ვერ მოვხურე.
ნანგრევებში კნოსოსის
ვეძებ თიხის ფირფიტებს.
სად სახელი კოლხური
აწერია ლურსმულით.
და ბევრი საიდუმლო
არის შიგ გალურსული.

**სამეგრელო**

ზოგ-ზოგებს კი სამეგრელოს
ხსენებაც კი შიშით ზარავს.
ის კი სამგლე ფაშატივით,
დაჭიხვინებს ჯვლავ ზღვისკარად.
დასევია მუმლი მუხას,
შხამავს, გესლავს
და გულს უჭამს.
რას იქმ...
მისმა „კოლხეთობამ",
ბევრს წაართვა ყურთასმენა,
და თვალებიც დაუხუჭა.

**ქურდები**
***(ზოგ-ზოგ ვაი მეცნიერს)***

უძველესი კოლხეთი–
ღამის ზღაპრად მონათლეს,
აიეტის ხსენება არ სურთ
შურით სნეულებს.
„შუშანიკის წამების",
აქეთ დასცეს ჯარავი,
ამით კოლხეთს კი არა,
საქართველოს პარავენ:
ისტორიას,
კულტურას,
მზიან ათასწლეულებს.

**ხობს და ხეთას**

ხმა არ ისმის არამ-ხუტუს,
დიდ ძმის–
უსუპის და ბადრის,
არც ცამცუმის, კოშკსა ვხედავ!
თუმცა თუშებ[22],
ვითარც ადრე,
ჯვლავ მფარველობს ხობს და ხეთას[23].

**ქალდეველები**

ცეცხლის ალში იწვოდა
მთებიცა და ველებიც,
მომხდურს სისხლი წყეროდა
და..
ძველ მცხეთას წვალებით–
ვინც მოვიდა ურიდან,
ურიები[24] კი არა,
იყვნენ ქალდეველები.

---

1,2,3 უძველესი კოლხური (ქართული) ტომი;
4 ბიბლიამდელი ხუთი კოლხური (ქართული) წიგნი;
5 „ტოშფა"–1500 ჩვ.წ.
6. ტაბუ–1500 ჩვ.წ.
7 „მარგალითი"–1500 ჩვ.წ.
8 „საწმისი"–1500 ჩვ.წ.
9 „ეფუთი"–1500 ჩვ.წ.
10 კრეტა, კოლხთა შორეული წინაპრის საცხოვრისი თავისი 90 ქალაქით.
11 თესალია–კოლხთა შორეული წინაპრის საცხოვრისი თავისი 90 ქალაქით.
12 კოლხთა შორეული წინაპრები;
13 კოლხთა შორეული წინაპრები;
14 ქიმეთი-ძველი ეგვიპტე;
15 ან მარე–ცის კაცი (ძვ.წ.აღ.5185-5120);
16 პოსეიდონი-ზღვის ღმერთი.
17 კლიტო-პოსეიდონის ცოლი.
18 თორა–იუდაიზმის წმინდა, კანონიკური ტექსტი 5 წიგნად (ძვ. წ. IV ს.)
19- უძველესი კოლხური (ქართული) ქალაქები და სახელმწიფოები.
20 პროტოლასატი–პირველქმნილი კაცი (ათანასე დიდი).
21 კნოსოსის სამეფო-ძვ.აღ. მესამე ათასწლეული.
22 თუშუბ-ხეთების ღმერთი (ძვ.წ.II-II ათასწლეული).
23. ხეთა (ხობის რაიონი) ანტიკური ხანის ისტორიული სოფელი.
24 ური–უძველესი ქალაქი- სახელმწიფო შუმერში. ძვ.წ.IV ათასწლეული.

ნომრის სტუმარი

# ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში ლევან ლიპარტია

***თქვენი ყოველი დღე, როგორც სოფლის ხელმძღვანელის, რითი იწყება და მთავრდება?***

–მივესალმები თქვენი გაზეთის მკითხველებს! მივესალმები ჩემს ნოჯიხეველებს!

უპირველესად მინდა ჩემს მუნიციპალიტეტს მივულოცო სახალხო-საერო

***წლის დასაწყისში დაანონსეთ, კონკრეტულად, რა გაკეთდა?***

–წლის ბოლომდე, რაც დაგეგმილი იყო გაკეთდა მოსახლეობის სურვილით და არჩევანის გათვალისწინებით. ძირითადი თანხები შიდა სასოფლო გზების შესაკეთებლად და სანიაღვრე არხების ამოსაწმენდად იქნა გამოყენებული. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე №1 ბაღს. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების დიდი ძალისხმევით კეთდება №2 საბავშვო ბაღი, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან მიიღებს აღსაზრდელებს.

***მიმდინარე წლის ნახევარი დამთავრდა, წელს რისი გაკეთება გადაწყდა, რითაც მოსახლეობა ცოტათი მაინც გაიუმჯობესებს პირობებს? სოფელში არის იმის გარანტი, რომ მოსახლეობის ნაწილი მაინც დასაქმდეს?***

–სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, მინდა ძალიან სასიხარულო ამბავი, კიდევ ერთხელ გავუზიარო თანასოფლელებს. ერთი თვის წინ პარლამენტის მაჟორიტარი წევრი ირაკლი (დაჩი) ბერაია მოვიდა ჩვენს სოფელში და შეხვდა ადგილობრივებს. მაშინ, მოსახლეობისგან ერთ-ერთ გამოწვევად სოფლის გაზიფიცირება დასახელდა. მოულოდნელი იყო ჩვენთვის ის ოპერატიულობა, რაც მაჟორიტარისგან ვიგრძენით. რამდენიმე დღეში ჩამოვიდა სამუშაო ჯგუფი და დაიწყეს აღნიშნული საკითხის მოგვარება.

ამჟამად დაქსელვის სამუშაოები მიმდინარეობს. რაც მთავარია, სამუშაოებში ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურადაა დასაქმებული.

წლის ბოლოს სოფელი უკვე გაზიფიცირებული შეხვდება მომდევნო წლის ზამთარს.

***ლევან, რას გვეტყოდით თქვენს ოჯახზე, ვიცი, რომ ოთხი შვილის მამა ხართ. უფალმა გაგაძლიეროთ და ბედნიერ ადამიანებად გაგიზარდოთ თქვენი გოგონები. ნაგვიანევად გილოცავთ ტყუპების შეძენას.***

–ოჯახი ეს ბედნიერებაა, სასიამოვნო დანახარჯები, ერთმანეთზე ზრუნვა, ბევრი საქმე, სირთულე და უდიდესი სიყვარული, რომელიც ყველაფერს სასურველს და სასიამოვნოს ხდის. შვილები კი ამ ოჯახის სიმდიდრე და სილაღეა. მუდამ ერთს შევთხოვ უფალს, ჯანმრთელად და მშვიდად მიმყოფოს შვილები. მინდა ყველას ხმამაღლა ვუთხრა: ყოველთვის იყავით ერთად, გაუფრთხილდით სიყვარულს და შეინარჩუნეთ მშვიდი, მხიარული და მხნე სული, რათა ოჯახში ბავშვებმა ბედნიერად იგრძნონ თავი.

***ბატონო ლევან, რა არის საჭირო საიმისოდ, რომ იყოთ სოფლის რეიტინგული ხელმძღვანელი, თქვენ აკმაყოფილებთ ამ კრიტერიუმებს?***

–რომ იყო რეიტინგული ხელმძღვანელი, საჭიროა დავიხარჯო თანასოფლელთა საკეთილდღეოდ. მათი ჭირი და ლხინი გავიზიარო. ვცდილობ, შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი გავაკეთო სოფლისთვის, დავეხმარო და კარგი მედიატორი ვიყო მათსა და ხელისუფლებას შორის, ვფიქრობ, ჩემო სოფლის მოსახლეობა მაფასებს და ყოველთვის ვგრძნობ თანასოფლელთა მხარდაჭრას.

***ვინ არის ის ადამიანი, რომელმაც თქვენზე დიდი გავლენა მოახდინა.***

–ცხოვრების ყველა ეტაპზე არსებობენ ადამიანები, ვისაც გინდა მიბაძო, ან რაღაც მისგან შეიძინო, მოისმინო. ისინი ასაკის მატებასთან ერთად იცვლებიან. დღეს, ასეთ ადამიანს კონკრეტულად ვერ დაგისახელებთ.

***თქვენთან სოფელში რა კეთდება ან რა გაკეთდა ახალგაზრდებისთვის?***

–სოფელში ახალგაზრდების მონდომება დიდია. ძირითადად სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში ვიჩენთ თავს. ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეული აქტიურად არის ჩართული ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ სპორტულ ღონისძიებებში: ფეხბურთი, ლელო ბურთი, მინი-ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მკლავჭიდი. დასახელებული სპორტის სახეობებში ნოჯიხევს წარმატებული ახალგზარდები ჰყავს. აუცილებლად უნდა აღვნიშნო ნუგზარ წურწუმია, რომელიც ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში არა მარტო ხობს, მთელ საქართველოს წარმოაჩენს.

***მალე ადგილობრივი მმართველობის არჩევნებისთვის სამზადისი ძალაში შევა. როგორია თქვენი და ხალხის განწყობა?***

–ჩვენს ადმინისტრაციულ ერთეულში წინასაარჩევნო მზაობა პოზიტიურია. მოსახლეობა მმართველი გუნდის მიმართ საკმაოდ იმედიანად არის განწყობილი, რაც ძირითადად განპირობებულია ადგილობრივი ხელისუფლების საქმისადმი მონდომებით და მაჟორიტარი დეპუტატის აქტიური მხარდაჭერით.

***თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს პოლიტიკოსი, რა ღირსებები უნდა ჰქონდეს მას?***

–ამ კითხვას კომპეტენტური პირები უკეთესად გასცემენ პასუხს, მე თუ რამეს გეტყვით, უნდა განვმეორდე. თუმცა ზოგადად, პოლიტიკოსი და ყველა სფეროს წარმომადგენელი უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს ადამიანი.

***რა იქნება სამომავლოდ, რას ურჩევთ თანასოფლელებს?***

–ჩემს თანასოფლელებთან მექნება თხოვნა, შევიცნოთ ღვთის სიმართლე, შევიყვაროთ ერთმანეთი, პატივი ვცეთ საკუთარ თავს, ერთმანეთს, ერთმანეთის შეხედულებებს და კეთილსინდისიერად მოვეპყროთ ურთიერთს.

***ესაუბრა ნანი კილასონია.***

# „მოსახლეობა იმედიანადაა განწყობილი“

დაქსელვის სამუშაოები

***ყდა, რითაც მოსახლეობა ცოტათი მაინც გაიუმჯობესებს პირობებს? სოფელში არის იმის გარანტი, რომ მოსახლეობის ნაწილი მაინც დასაქმდეს?***

დღესასწაული „ცოტნეობა“. ცოტნეს გმირობა რწმენის, სიმტკიცის, ქვეყნისა და ხალხისთვის თავდადების, სიყვარულის მაგალითია. უფალმა გვიმრავლოს ცოტნესდარი ქართველები.

ყოველი დღის დაწყება უკავშირდება ოჯახზე ზრუნვას და იმ გამოწვევებზე ფიქრს, რომელიც ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში იქმნება. რა თანამდებობაზეც არ უნდა იყო ადამიანი, რა პასუხისმგებლობასაც არ უნდა გრძნობდე, უმთავრესი მაინც მამობის პასუხისმგებლობაა. ოთხი შვილის მამობა მაძლევს იმაზე ზრუნვის უფრო მეტ სტიმულს, რომ ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებმა ბავშვებმა გაუმჯობესებულ, განვითარებულ სოფელში შეძლონ ცხოვრება ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების დახმარებით. საამისოდ ყველანაირი მხარდაჭერა არსებობს და უკეთესი გარემოს შესაქმნელად ბევრი პროექტი ხორციელდება.

***როგორია თქვენი უმთავრესი ვალდებულება?***

უმთავრესი ვალდებულება დაკისრებული მოვალეობის შესრულებაა. უდიდესი პასუხისმგებლობა მაქვს აღებული. ვცდილობ, საქმეებს მაქსიმალურად გავართვა თავი. რამდენად ვახერხებ ამას, ალბათ მოსახლეობა განსაზღვრავს.

***გასულ წელზე რას იტყვით. გაკეთდა ყველაფერი ის, რისი გაკეთება***

–სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, მინდა ძალიან სასიხარულო ამბავი, კიდევ ერთხელ გავუზიარო თანასოფლელებს. ერთი თვის წინ პარლამენტის მაჟორიტარი წევრი ირაკლი (დაჩი) ბერაია მოვიდა ჩვენს სოფელში და შეხვდა ადგილობრივებს. მაშინ, მოსახლეობისგან ერთ-ერთ გამოწვევად სოფლის გაზიფიცირება დასახელდა. მოულოდნელი იყო ჩვენთვის ის ოპერატიულობა, რაც მაჟორიტარისგან ვიგრძენით. რამდენიმე დღეში ჩამოვიდა სამუშაო ჯგუფი და დაიწყეს აღნიშნული საკითხის მოგვარება.

ამჟამად დაქსელვის სამუშაოები მიმდინარეობს. რაც მთავარია, სამუშაოებში ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურადაა დასაქმებული.

წლის ბოლოს სოფელი უკვე გაზიფიცირებული შეხვდება მომდევნო წლის ზამთარს.

***ლევან, რას გვეტყოდით თქვენს ოჯახზე, ვიცი, რომ ოთხი შვილის მამა ხართ. უფალმა გაგაძლიეროთ და ბედნიერ ადამიანებად გაგიზარდოთ თქვენი გოგონები. ნაგვიანევად გილოცავთ ტყუპების შეძენას.***

–ოჯახი ეს ბედნიერებაა, სასიამოვნო დანახარჯები, ერთმანეთზე ზრუნვა, ბევრი საქმე, სირთულე და უდიდესი სიყვარული, რომელიც ყველაფერს სასურველს და სასიამოვნოს ხდის. შვილები კი ამ ოჯახის სიმდიდრე და სილაღეა. მუდამ ერთს შევთხოვ უფალს, ჯანმრთელად და მშვიდად მიმყოფოს შვილები. მინდა ყველას ხმამაღლა ვუთხრა: ყოველთვის იყავით ერთად, გაუფრთხილდით სიყვარულს და შეინარჩუნეთ მშვიდი, მხიარული და მხნე სული, რათა ოჯახში ბავშვებმა ბედნიერად იგრძნონ თავი.

***ბატონო ლევან, რა არის საჭირო***

ჩვენს მუნიციპალიტეტში

## საპენტომ სკოლებს პირველკლასელთა კომპიუტერები მაღასცა

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საგენტომ ხობის მუნიციპალიტეტში, პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში პირველკლასელთა პორტატული კომპიუტერების დარიგების პროცესი დაასრულა. ახალი სასწავლო წლიდან, ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 280 პირველკლასელი სახელმწიფოს საჩუქრით ისარგებლებს. სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებად განისაზღვრებიან პირველკლასელი მოსწავლეები და მათი დამრიგებლები. პროგრამის მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და ბენეფიციარებისთვის კომფორტული სასწავლო/სამუშაო გარემოს შექმნა.

## ხობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში წიგნის პრეზენტაცია გაიმართა

თედო სახოკიას სახელობის ხობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში არასამთავრობო ორგანიზაცია „რადარამის“ მიერ გამოცემული წიგნის: „საგზაო მოძრაობა–რატომ ვატარებთ მანქანას ისე, როგორც ვატარებთ“= პრეზენტაცია გაიმართა. ტომ ვანდერბილთის წიგნში მანქანის ტარების მანერასა და პირის ფსიქოტიპს შორის მჭიდრო კავშირზეა საუბარი. ავტორის აზრით, საკმარისია, დავაკვირდეთ ადამიანს მანქანის ტარების პროცესში და გავიგოთ, როგორაა მოწყობილი მისი ტვინი, როგორ ურთიერთობას ამყარებს ის, ზოგადად, გარესამყაროსთან. საგზაო მოძრაობა გაცილებით მეტია, ვიდრე თქვენ გგონიათ, ის ძალიან ნათლად წარმოაჩენს ადამიანურ ბუნებას. ეს წიგნი სრულიად ახალი თვალით დაგანახებთ საკუთარ თავს და მთელ მსოფლიოს. და ვინ იცის? იქნებ უკეთეს მძღოლებადაც გაქციოთ? არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ბიბლიოთეკას მათ მიერ გამოცემული წიგნების ეგზემპლარები უსასყიდლოდ გადასცეს.

„რადარამი“ ქართულად თარგმნის და გამოსცემს მსოფლიო მასშტაბით აღიარებულ, პოპულარულ ენაზე დაწერილ სამეცნიერო, შემეცნებით, ბიოგრაფიულ და სხვა ჟანრის წიგნებს, რომლებიც ბოლო ხანებში სხვადასხვა ქვეყანაში გამოქვეყნდა.

# მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ქრონიკები

# ასე დაიწერა და აიკინძა „ლაზიკას“ ლამაზი ისტორია

თანამედროვეობა არ არსებობს ცეკვის გარეშე. ქართული ცეკვა ის საოცარი ძალაა, რომელიც ადამიანის სულის უჩინარ სიმებს ეხმიანება. იყო ხელოვანი–ეს უდიდესი ბედნიერებაა. სწორედ ასეთი ბედნიერება ხვდა წილად მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ქორეოგრაფებს.

ყველაფერი კი ასე დაიწყო. ქართული ცეკვის შესწავლის ნიჭმა და სურვილმა ბავშვობაში გააცნო ერთმანეთს მამუკა გვასალია და პაატა ჭითაშვილი.

ხობის ქორეოგრაფიული სტუდიისა და თბილისის ზაქარიაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ბიჭები ხობში ისევ შეხვდენენ ერთმანეთს და გაუჩნდათ სურვილი პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯის გადადგმის–ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის ჩამოყალიბების, მალე პირველი შევსებაც მიიღეს. ასე დაიწყო სუნთქვა 1991 წლის დეკემბერში კინოთეატრ „თუთარჩელაში“ ანსამბლმა „ლაზიკამ“.

დაუღალავმა შრომამ, შემოქმედებითმა ნიჭმა შედეგი გამოიღო. დიდი მონდომებისა და შემართების წყალობით „თუთარჩელას“ სცენაზე დაიდგა ცეკვა „მთიულური“, შემდეგ კი-„მოხევური“. ახალბედა „ლაზიკამ“ პირველი გასვლა რაიონის სკოლებში მოაწყო და ცეკვის შესწავლის მსურველებიც მრავლად გაიჩინა.

1995 წელს „ლაზიკა“ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში დაფუძნდა და ივნისში პირველად გაემგზავრა თბილისში და ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური ფესტივალის გამარჯვებულის დიპლომით დაუბრუნდა მოსწავლეთა სახლს. ეს იყო პირველი წარმატების აუწერელი განცდა. მეტის მიღწევის სურვილი...

1997 წლის ნოემბერში „ლაზიკა“ ქართული სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ანსამბლების I რესპუბლიკური დათვალიერება–კონკურსის ლაურიატი გახდა (ქ. თბილისი). დიდ სიხარულს ყოველთვის დიდი ღელვა, სურვილები, ოცნება ახლავს და ეს დიდი ოცნება ანსამბლისთვის საქართველოდან გასვლა იყო. მიუხედავად უამრავი წინააღმდეგობებისა, ოცნება აუხდა „ლაზიკას“. 1998 წლის ივნისში ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლთან (ხელმძღვანელი ნეტარხსენებული მურთაზ ალანია) ერთად თურქეთის ქალაქ ზონგულდაკში ჩატარებული ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალის სპეციალური პრიზის მფლობელი გახდა. საქართველოს ფარგლებს გარეთ მოპოვებულმა პირველმა წარმატებამ ანდამატივით მოიზიდა ახალი თაობა. ისევ დაუღალავი შრომა... გათვლა ერთიდან რვამდე... ნერვული შეძახილი–„არ ვარგა“, „თავიდან“ და შემდეგ–ზუსტად ორ თვეში ბედნიერ ვარსკვლავზე „დაბადებულმა“ ანსამბლმა უკრაინის ქალაქ ხარკოვში ბავშვთა საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში I ადგილი დაიკავა, სიგელითა და მედლით დაჯილდოვდა.

1999 წლის ოქტომბერში „ლაზიკა“ უკრაინის ქალაქ კიროვოროგშია მიწვეული და ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალის I ხარისხის დიპლომის და სპეციალური პრიზის მფლობელი ხდება.

2000 წლის ივნისში „ლაზიკა“ უკვე უკრაინის ქალაქ როგნოში გამართულ ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალის დიპლომითა და სპეციალური პრიზით ხელდამშვენებული ბრუნდება.

2001-2003 წლები. თურქეთი, ქალაქები გაზმირ-იზმირი. ბავშვთა IV-V-VI საერთაშორისო ფესტივალი და შედეგად ფესტივალის სპეციალური დიპლომები და მედლები.

2004 წელი. ქალაქი ბათუმი. კულტურულ ურთიერთობათა ახალგაზრდული ცენტრის „ფოლკლორიადა 2004“-ის დიპლომები და სპეციალური პრიზები.

2005 წლის თებერვალი. ქ. ქუთაისი. ბავშვთა ფოლკლორის IV ფესტივალის შესარჩევი ტური–I ხარისხის დიპლომები და პრიზები.

2006 წელი. ბათუმი. აჭარის ქორეოგრაფთა კავშირის მედლები და სიგელები, საქართველოს ხელოვანთა ლიგის I ხარისხის სიგელი და მედალი.

2007 წელი. ლაზურ-კოლხური ფოლკლორული ცეკვების ფესტივალ-კონკურსი–„ლაზი“-2007. I ხარისხის დიპლომი ლაზურ-კოლხური ცეკვების საუკეთესოდ წარმოჩენისთვის.

2008 წელი–ფოლკლორისა და ესტრადის მე-7 რესპუბლიკური ფესტივალის I ხარისხის მედალი და სიგელი.

2010 წელი–აჭარის მუსიკალური საზოგადოების, კულტურისა და ტურიზმის ცენტრის „ეგრისი“ I ხარისხის მედალი და სიგელი.

2011 წელი–ქართული ფოლკლორის განვითარების ცენტრმა „ლაზიკა“ გამარჯვებულად გამოაცხადა ნომინაციაში „2011 წლის საუკეთესო ანსამბლი“.

სიღნაღი, ბორჯომი, ბაკურიანი, ახალციხე... არასრული ჩამონათვალი, სადაც „ლაზიკა“ წარსდგა ქართული ცეკვებით და სპეციალურირ პრიზები, სიგელები და მოწონება დაიმსახურა.

შეუჩერებელია დროის დინება ანსამბლიდან ბევრი საუკეთესო მოცეკვავე წავიდა, წავიდა, რადგან უკან დარჩათ ბავშვობისა და ყრმობის დაუვიწყარი წლები, სკოლის კედლები. თუმცა ზოგმა მომავალი საქმიანობა ისევ ცეკვას დაუკავშირა, ეამაყებათ ქორეოგრაფებს, რომ მათი აღზრდილები საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ დიდი სიყვარულით ემსახურებიან ქართული ქორეოგრაფიის განვითარების საქმეს.

**ირაკლი ქაჯაია**–გერმანიის რესპუბლიკა. მსოფლიოს ხალხთა ცეკვები.

**თამუნა ბერაია** და **გოგა აკობია**–ჩეჩნეთის სახელმწიფო ანსამბლი.

**ვერიკო მიქიაშვილი**–დიზაინერის პროფესიის დაუფლებასთან ერთად სუხიშვილების ნაციონალური ბალეტის, მოცეკვავეა.

**მარიკა ალანია**–თბილისის ზაქარიაძის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დამთავრების შემ,დეგ ჩაირიცხა სუხიშვილების აკადემიაში და III კურსის წარჩინებულის სტუდენტია.

**გიორგი ეჯიბია**–ჩინეთის რესპუბლიკა. ჩინური შოუს მსოფლიო ხალხთა ცეკვების სოლისტი.

**გიორგი შურღაია**–ქუთაისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის სტუდენტი. ჯიჯი კოლეჯის სოლისტი.

**ირაკლი ბუკია** და **ირაკლი ფაჩულია** ჯიჯის ქორეოგრაფიული ანსამბლის სპოლისტები არიან.

ის გოგო ბიჭები, რომლებიც ახლა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის სცენაზე დგანან–„ლაზიკას“ ახალი შევსებაა.

24 აპრილს ქ. თბილისში ჩატარებულ საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში „გაზაფხულის რიტმები“ მონაწილეობისა და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისთვის ანსამბლ „ლაზიკას“ მიენიჭა ფესტივალის ლაურეტის წოდება, ხოლო ქუთაისის მუნიციპალიტეტის, მერიის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურისა და კომპანია ნატალ–IV-ის მიერ ორგანიზებულ ფესტივალში, „ქუთაისი–2017“ მონაწილეობისთვის ანსამბლის ყველა მოცეკვავეს ფესტივალის დიპლომი გადაეცა.

ფესტივალის წამყვანმა ბატონმა ზაზა ალექსიძემ ხაზი გაუსვა „ლაზიკას“ აქტიურ ჩართულობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ჩატარებულ ფესტივალში და მაღალ საშემსურებლო ოსტატობას.

5 ივლისს „ლაზიკა“ მიწვეული იყო საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის მიერ ორგანიზებულ ფოლკლორის (ქორეოგრაფიული) საერთაშორისო საბავშვო და ახალგაზრდულ ფესტივალზე „კავკასია 2017“ მასპინძელი ქალაქი ქობულეთი გახლდათ მაყურებელი „ბრავოს“ შეძახილით ფეხზე დამდგარი უკრავდა ტაშს „ლაზიკას“ „მთიულურს“. ჟიურიმ განსაკუთრებულად მიანიშნა „ლაზიკას“ უფროსი თაობის მოცეკვავეების რთულ და დახვეწილ მოძრაობებზე.

მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისთვის „ლაზიკას“ ყველა მოცეკვავე დაჯილდოვდა პირველი ხარისხის მედლით და დიპლომით, ანსამბლს ფესტივალის ლაურეატის წოდება მიენიჭა, ხოლო ქორეოგრაფებს–მამუკა გვასალიას და პაატა ჭითაშვილს ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნებისა და ახალგაზრდობის ესტეთიკური აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილისთვის „ქორეოგრაფიის სახალხო მოღვაწის“ საპატიო წოდების დამადასტურებელი მოწმობა და ფასიანი საჩუქარი გადაეცათ.

7 ივლისს „ლაზიკა“ ფესტივალის დახურვისადმი მიძღვნილი გალა კონცერტის მონაწილეც გახდა ქობულეთსა და ბათუმში.

დახურვის ცერემონიალმა

15

## მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ქრონიკები

14

ჭეშმარიტი ძმობის, მეგობრობის ატმოსფეროში ჩაიარა. სცენასზე ერთმანეთს ენაცვლებოდა უკრაინის, ლატვიის, ლიტვის, თურქეთის, რუსეთის ქალაქებიდან ჩამოსული საბავშვო და ახალგაზრდული და საქართველოს ქორეოგრაფიული ანსამბლები და შემსრულებლები.

„ლაზიკას“ წილად ხვდა გალა კონცერტის დახურვა. მოცეკვავეები ამჯერად სპეციალური დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

გვიან ღამით დავემშვიდობეთ ფესტივალის მონაწილეებს და ბათუმს.

აი, ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, რთულად, მაგრამ ლამაზად დაიწერა, მძივებად აიკინძა „ლაზიკას“ ლამაზი ისტორია.

ორ ათეულ წელზე მეტია მოვდივარ „ლაზიკას“ ქორეოგრაფებთან ერთად. ყველა მათი განცდის, სიხარულის მომსწრე და მოზიარე ვარ, მინდა ვუთხრა მათ: თურმე რამდენი მოკეთე გყოლიათ. ჩვენს დარბაზში დღესაც თქვენდამი ის დიდი სითბო და სიყვარული სუფევს თქვენმა აღზრდილებმა და მათმა მშობლებმა რომ დაგვიტოვეს და დღევანდელი „ლაზიკა“ რომ გიწილადებთ. თქვენი ხელოვნება დასაფასებელია არა იმით, რომ აღიარება გხვდათ, არამედ „ლაზიკას“ ყოველთვის და ყველგან ახსოვდა და ახსოვს „ვისი გორისანი“ არიან, რომ სადაც იყავით თქვენი შემოქმედებითი აღტკინებით ჩვენი–ქართული ჯიშისა და ჯილაგის შესაფერი ქართული სული ააბობოქრეთ.

არ მოკლებოდეს თქვენს ხელოვნებას დამფასებელი და შემფასებელი.

**P.S.–უღრმესი მადლობა მინდა ვუთხრა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორს ბატონ ბორის ბერაიას თანადგომისა და მხარდაჭერისთვის „კავკასია-2017“-ის დღეებში მისი ძალისხმევით ანსამბლს უფასო ავტობუსი მოემსახურა. მადლობა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მენეჯერს ქალბატონ ნაირა ბერაიას, მადლობა „ლაზიკას“ ყველა თაობის მოსწავლეებს და მათ მშობლებს, იმ ადამიანებს, რომლებიც დაარსების დღიდან „ლაზიკას“ გვერდით დადგა ანსამბლის წარმატების მოსაპოვებლად–აღნიშნა მამუკა გვასალიამ.**

***მაია კუჭავა,***
***მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის***
***მხატვრული კითხვისა და ლიტმცოდნეობის სპეციალისტი.***

## ლია ჯაჰის დღეზე

ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია „people in need“-ის ფინანსური მხარდაჭერითა და ხობის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების აქტიური და წარმატებული მოსწავლეები ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიას“ ეწვივნენ ღია კარის დღეზე.

მომავალი აბიტურიენტები გაეცნენ ქვეყნის ერთ-ერთ, უძველესი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების „აწსუ“ პროგრამებსა და სამეცნიერო მიმართულებების ფართო სპექტრს, ინოვაციურ პროგრამებს და უნივერსიტეტში არსებულ „foblod“-ს კლუბს–მომავალი სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიას, რომელმაც მოსწავლეებში განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

როგორც უნივერსიტეტში განგვიმარტეს, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სტუდენტებისა და მომავალი აბიტურიენტებისთვის სწავლასწავლების თანამედროვე სტანდარტები ხელმისაწვდომი გახადოს და თითოეული სწავლასმოწყურებული ახალგაზრდა გახდეს საერთაშორისო განათლების დონის თანაზიარი.

დიდი მოწონება დაიმსახურა საზოგადოებრივმა კოლეჯმა „იბერიამ“. სადაც ფორმალური, არაფორმალური და პროფესიული განათლების მიღების საუკეთესო საშუალებაა. სწორედ აქ არის შესაძლებელი თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განხორციელება.

მოსწავლეებმა ასევე მოილოცეს ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები. მოწამეთა, გელათი და ბაგრატი, გაეცნენ ისტორიებს და ეზიარნენ წარსულის დიდებას.

## შეხვედრა წარჩინებულ კურსდამთავრებულებთან

ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა გულთბილი და საინტერესო შეხვედა მოუწყო 2016–2017 სასწავლო წელს წარჩინებულ კურსდამთავრებულებს.

ეს დღე იყო იმის დასტური, რომ სკოლაში სპეციალიზებულ საგნებთან ერთად ასწავლიან ტოლერანტობას, სიყვარულს, მეგობრობას, პატივისცემას, სწორ ღირებულებებს, უფლებებს–ყველა კომპონენტს, რაც ცალ-ცალკე და ერთად აღებული თანამედროვე სამყაროში ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანის პიროვნების განსაზღვრისთვის.

შეხვედრაზე მოწვეულ ოქროს მედალოსან მასწავლებლებს (მედალოსან მოსწავლეთა პედაგოგებს) და კურსდამთავრებულებს ვერცხლისა და ოქროს მედლები და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის წარჩინებით დასრულების დამადასტურებელი სერთიფიკატები გადაეცათ.

შეკრებილთ მიესალმა საქველმოქმედო ფონდის „ხობი“ წარმომადგენელი ქალბატონი რალა ჩემია, შემდგომი წარმატებები უსურვა მათ და ფონდის დამფუძნებელის ბატონ გოდერძი ბუკიას სახელით გადასცა ქართული ხალხური სიმღერის კრებული ანსამბლ „რუსთავის“ შესრულებით, რომელიც 16 კომპაქტურ დისკს მოიცავს და წიგნი–„ქართული ხალხური პოეზია“.

მე როგორც მშობელმა და როგორც პედაგოგმა მინდა მადლობა ვუთხრა ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გულთბილი მასპინძლობისთვის და ლამაზი დღისთვის. მადლობა ფონდს „ხობი“, მის დამფუძნებელს ბატონ გოდერძი ბუკიას, ფონდის წარმომადგენელს ქალბატონ რალა ჩემიას, რამე თუ ეს არის სწავლა-განათლების აღიარება და დადასტურება, შეფასება და დაფასება, სტიმულია იმისა, რომ ახალგაზრდებმა თავიანთი ცოდნა შემდგომ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მუნიციპალიტეტის სასიკეთოდ გამოიყენონ.

***ლელა ნანეიშვილი,***
***ნოჯიხევის საჯარო სკოლის მასწავლებელი.***

## სულთათანა

## მანანა ხვიჩია

გარდაიცვალა მანანა ხვიჩია–სსიპ ესტატე შუშანიას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

პირველი მაისის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მანანა ხვიჩია სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიური ენების ფაკულტეტზე, სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო მშობლიურ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე.

თავისი საქმის პროფესიონალი. ნიჭიერი, ღრმად მორწმუნე, რომელიც თავის მოსწავლეებს ასწავლიდა არა მარტო საგანს, არამედ ქრისტიანულ სიყვარულს. ის იყო ფსიქოლოგი–მასწავლებელი, დინჯი და აუჩქარებელი, საუკეთესო მეგობარი, რომელიც ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა ყველას. მანანა ძალას არ იშურებდა მოსწავლეებისთვის გაეცა ის განძი, რაც მას გააჩნდა. ის იყო მასწავლებელი, რომელიც მოსწავლეებში, კოლეგებსა და მშობლებში სარგებლობდა უდიდესი სიყვარულით. ის ყოველთვის ემორჩილებოდა გონიერებას, მასში იყო ზნეობრივი სიმშვენიერე, იგი იყო უდიდესი განძი ჩვენი სკოლისა. მანანა სულით ხორცამდე ღმერთთან იყო ამქვეყნიურ ცხოვრებაში, მისთვის ყოველი დღე ღვთის სადიდებელი გალობით იწყებოდა და მთავრდებოდა, ნათელი გზით იარა ცათა სასუფევლამდე, უფალი ასეთ ადამიანებს არ კარგავს, არამედ თავის გვერდით ამკვიდრებს, სწორედ მანანამ ამქვეყნიური ცხოვრებით დაიმკვიდრა ადგილი უფლის გვერდით. ვწუხვართ, მოურჩენელმა ავადმყოფობამ ასე ადრე რომ წაართვა სიცოცხლე... გულსატკენია ასეთი ადამიანის სიკვდილი, სიკვდილი, რომელიც არავის არჩევს... არავის ინდობს... ვწუხვართ, სკოლის პედაგოგები მანანას ადრე წასვლას, მაგრამ სანამ ეს სკოლა იარსებებს, მისი სახელი ყოველთვის იქნება ოქროს ასოებით სკოლის ისტორიაში ჩაწერილი.

***ქრისტესმიერი სიყვარულით სსიპ ესტატე შუშანიას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი***

## ნუტი ლემონჯავა

4 ძალიან ტკივილიანი წელი გავიდა, ოთხი წელი... ტკივილი არ განელდა, იმატა მონატრების გრძნობამ, შენი ნახვის სურვილმა. თურმე სიკვდილზე უფრო მწარე არ არსებობს არაფერი...

არ უნდა კვდებოდნენ ახალგაზრდები, ისინი ვისთვისაც ცხოვრება ზუსტად მაშინ იწყება...

ძნელია შეეგუო რეალობას. წლების მერეც არ მჯერა, რომ აღარ ხარ. მგონია დაბრუნდები... დაბრუნდები იქიდან, საიდანაც ვიცი აღარ ბრუნდებიან...

უფალს ებარებოდე, ნუტი.

გვენატრები!

**თათია ჯიჯელავა.**

# 12 აგვისტო—„ცოტნეობა-2017

## პროგრამა




09.00 სთ.
საზეიმო წირვა
ხობის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში.
აწყურისა და ივერიის ღვთისმშობლის ხატების მოლოცვა (ხობის მონასტერი)
შეჯიბრებები სპორტულ სახეობებში.

11.00-14.30 სთ.
ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა ლელობურთში-ფინალი (ქ. ხობის ცენტრალური სტადიონი).
ჭიდაობა-მუნიციპალიტეტის პირველობა (ფინალი).
გოგი ბუკიას სახელობის ტურნირი ნარდში (ფინალი).
ჭადრაკი
მკლავჭიდი
(კულტურის სახლის მიმდებარე ხეივანი)

13.30 სთ-დან
ხალხური რეწვისა და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა.
თვითნასწავლ მხატვართა პერსონალური გამოფენები.
სოფლის მეურნეობის ნაწარმის გამოფენა.
ფაცხები.
მეგრული სამზარეულო
(კულტურის სახლის მიმდებარე ხეივანი)

15.00 სთ-დან
თეატრალიზებული მხატვრული კომპოზიცია ხობის საპატიო მოქალაქეობის მინიჭების ცერემონიალი.
კონცერტი ადგილობრივი და ცნობილი შემსრულებლების მონაწილეობით.
თეატრალურის კვარტეტის, გიორგი მეფისაშვილისა და ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივების ერთობლივი კონცერტი.
(კულტურის სახლის მიმდებარე ხეივანი).

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲑᲘᲮᲛᲝᲑᲗ!

# კიდევ ერთი ლამაზი დღე

ის დღე უჩვეულოდ ლამაზი, ინოვაციებით დატვირთული, გარემოც ულამაზესი გახლდათ. ნორჩები, რომლებიც ხობის №2 საბავშვო ბაგა–ბაღს ტოვებდნენ, ბაღის მთელი კოლექტივი, ოვაციებით აცილებდა სკოლისკენ მიმავალ გზაზე თვიანთ აღზრდილებს. პატარებს არასოდეს დაავიწყდებათ 2017 წლის ბაღის 39-ე გამოშვების ლამაზი დღე. თვალხატულა გოგო-ბიჭები, ბავშვები, რომლებიც წლებია ამ გარემოში იზრდებოდნენ, სწავლობდნენ ულამაზეს ლექსებს, სიმღერებს, ცეკვებს... იძენდნენ ცოდნასა და გამოცდილებას. სწორედ იმ დღეს აჯამებდნენ მთელი წლის შედეგებს. ის დღე მათ, იმედია, არასოდეს დაავიწყდებათ, გარდა იმ პატარებისა, რომლებიც დამამთავრებელ ჯგუფში იყვნენ, მაგრამ ასაკის გამო ბაღთან გამომშვიდობება ვერ შეძლეს.

თაკარა მზესმფიცხებული, საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილი პატარები ღელავდნენ სტუმრების მოლოდინში. ბაღის სულისჩამდგმელი და ყველა დიდი საქმის ორგანიზატორი ქალბატონი ნარგიზა ტუღუში თავის უნიჭიერეს აღმზრდელ-მასწავლებლებთან ერთად არანაკლებ ღელავდა. ბაღს ყოველ წელს ათობით პატარა ტოვებს და ეს უზომოდ ამაღელვებელი დღეა მათთვის. ერთმანეთს შეჩვეულებს უჭირთ განშორება, ცრემლმორეული თვალებით ემშვიდობებიან ერთმანეთს დიდები და პატარები. პოეტს უთქვამს, „თურმე შეჩვევა ყველაზე დიდი, ყველაზე სანდო სიყვარულია“. ურთიერთშეჩვეულებს უჭირთ განშორება. მაგრამ ეს ასეა, სკოლა უხმობს პატარებს...

ზეიმს, რომელიც ყოველმხრივ შესანიშნავი და სრულყოფილი გახლდათ, ბავშვებთან ერთად ლამაზად მორთული გარემო–ბაღის ეზო კიდევ უფრო აკეთილშობილებდა. ეს დღე სიურპრიზებით აღსავსე გახლდათ. ბაღის ისტორიაში პირველად და საერთოდ, ამ სფეროში ინოვაციური, ამაღელვებელი და სიხარულისმომგვრელი იყო აღსაზრდელების ცეკვა მამებთან ერთად. „ვალსმა“ მოლოდინს გადააჭარბა და არამარტო მამები, დედებიც ცეკვავდნენ. დამამთავრებელი ჯგუფის გოგონების დედებისა და ძმების ცეკვა „როკენ-როლი“ ძალზე ლამაზი იყო. დამსწრენი ფეხზე ამდგარნი შეხვდნენ სიახლეებს. სტუმრების გაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ეს ნამდვილი, არნახული ზეიმი იყო...

ბავშვებს ემშვიდობებოდნენ და მომავალ ლამაზ დღეებს უსურვებდნენ **ნარგიზა ტუღუში** (№2 ბაგა-ბაღის მთავარი სპეციალისტი), **დოდო გაბუნია** (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე), **ელისო კვიკვინია** (სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორი); **თამუნა ვეშაგური** (აღმზრდელ-მასწავლებელი), **თეონა ჩარგაზია** (აღმზრდელ-მასწავლებელი)... ყველას სურვილი ერთი იყო–ბავშვების ლამაზი და ბედნიერი მომავალი.

პატარებო! თქვენი ცხოვრების სავალი გზა მუდამ გამორჩეული და სიახლეებით აღსავსე ყოფილიყოს.

თქვენი დამშვიდობება ბაღთან დაუვიწყარი და მომავალი ლამაზი ცხოვრების გზასავალი გამხდარიყოს. სკოლები, რომლებიც კარს გაგიღებენ და თქვენ გელოდებიან, წარმატებით დაგემთავრებინოთ. რჩეული ადამიანები გამხდარიყავით!

მაშ, ბედნიერად ჩვენო ლამაზებო! თქვენ სკოლა გიხმობთ!

**ნანი კილასონია.**

ᲮᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲗᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ
ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ: ᲮᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ- ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ.
ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა– ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.